

1953



# შეზღვევის საკართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GEORGIE COMBATTANTE“

PRIX: 50 F.

MENSUEL

N° 17 | ოქტომბერი-ნოემბერი — 1953 — OCTOBRE-NOVEMBRE | N° 17

### შინაარსი:

Une tache urgente.

Communiqué

კ. გვარჯალაძე — დასავლეთ გერმანიის ასრჩენე-  
ვის მნიშვნელობა.

გ. წერეთელი — ჩვენი ვათიშულობის მიზეზები.

კახაბერი — „ჩიქოვანი და სხვანი მრავალნი“...

გრ. ურატაძე — ილია ჭავჭავაძის მკვლელობა.

თამ. პაპავა — ქართველი ქალი ჩვენს მატრიანე-  
ში.

ლ. კვარაცხელია — „მებრძოლ საქართველოს“  
რედაქცია.

X. — წერილი ბერლინიდან.

ისარი — ჩვენი მიწა-წყლით ეპრობენ.

უცხოეთის პრესა: ე. მარტენი, დონ ლევინი.

ქართული პრესა:

ქართულ - ამერიკულ ლიგის მოწოდება.

გ. დიდბულოძე — წერილი ავსტრალიიდან.

რადიო - სადგური „განთავისუფლება“.


საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში.

ქრონიკა.

### UNE TACHE URGENTE.

La lutte pour la succession du dictateur disparu n'a pas tardé à faire des ravages au Kremlin. Bériia, pris de vitesse, est tombé premier, victime de la conspiration, ourdie par ses rivaux. Il est accusé de crimes qui ne pardonnent pas et, entre autres — d'un prétendu libéralisme dans ses rapports avec les aspirations nationales de différentes républiques. Or, le peuple géorgien est bien placé pour savoir de quel bois il se chauffait pour mater toute velléité de résistance aux entreprises du pouvoir d'occupation soviétique. Il est de notoriété publique que les peuples opprimés n'ont rien à voir avec les règlements de compte qui ensanglantent systématiquement les pays derrière le Rideau de Fer sauf — qu'ils en sont des victimes désignées et sans défense.

Il existe un élément constant de la politique impérialiste des dirigeants de Moscou — c'est d'étendre leur domination sur toute la sphère du globe. Cette fièvre d'expansion des empereurs, alimentée par l'ignorance, soigneusement entretenue par le peuple russe, s'est emparée de l'Etat communiste, doté de moyens beaucoup plus perfectionnés et puissamment aidé par le chaos hérité de deux guerres. Desorientés par la disparition du maître, les successeurs virent l'infrastructure soviétique dangereusement ébranlée. Afin d'éviter l'irréparable, ces derniers s'efforcent d'endormir la vigilance des pays libres, de réduire la pression extérieure et de s'octroyer un moment de répit pour resserrer l'étau de la despotie momentanément détendu. Ceci faisant, ils suivent





le conseil de Lénine — un pas en arrière pour mieux bondir de l'avant. Les bolcheviks russes n'avaient jamais renoncé à leur conviction que leur régime ne peut s'accommoder avec l'existence dans le monde des aspirations libérales et progressistes.

A la Conférence, désormais célèbre du Palais Rose, Molotov dit «niet» à toutes les propositions de paix véritable des alliés occidentaux.

A la Conférence des représentants des émigrés nationaux, tenue à Munich et à Tegernsee, Kerensky - Melgounof opposèrent un «niet» catégorique à tous les efforts de conciliation, en vue de la création d'un front réel et solide, de la lutte antibolchéviste. Que faut-il en conclure, sinon que la tendance de domination se trouve profondément ancrée chez les réactionnaires de tout acabit et la différence de couleur ne peut rien y changer ?

Mais, nous sommes sûrs que le peuple russe, lui-même première et inévitable victime de cette manie d'expansion, n'a rien de commun avec la conception vétuste de ses prétendus dirigeants. Son but actuel et principal consiste à se libérer de la tyrannie et d'arriver à se créer des conditions de vie décente. Il possède sur son propre territoire presque tous les éléments nécessaires à son économie nationale. La

vraie démocratie russe, consciente de sa destinée, n'a aucun intérêt à perpétuer la politique néfaste des conquêtes, qui ne lui avait jamais porté bonheur.

L'action du Comité Américain de la Lutte Antibolchéviste mit au jour l'existence des forces réellement démocratiques russes. Elle a démontré aussi que les peuples asservis par la tyrannie moscovite, peuvent s'entendre et agir à l'unisson avec ces forces pour secouer le joug qui les écrase.

Le premier objectif des nations opprimées, y compris la nation russe, est la destruction du régime dont le cadre se trouve constitué par les traîtres sadiques, issus de toutes les nationalités composant l'Union Soviétique.

Le Comité Exécutif du Conseil National Géorgien, conscient de son devoir envers la patrie, dénonce dans un Communiqué, publié ci-dessous, la duplicité de Moscou — danger permanent pour l'existence même des peuples et menace mortelle pour la paix et la sécurité du monde. L'existence des peuples sous l'oppression de Moscou, étant étroitement liée à celle de la Démocratie universelle, la tâche la plus urgente de cette dernière est d'aider ces peuples à se débarrasser de ce terrible fléau du siècle.

#### COMMUNIQUE DU COMITE EXECUTIF,

Les complices d'hier de Béria, dans ses agissements criminels, lui reprochent aujourd'hui, entre autres méfaits, ses prétendus encouragements au sentiment «nationaliste-bourgeois» dans les petites républiques soviétiques.

Sous ce motif s'affirme à présent une nouvelle politique, d'ailleurs, toujours implicite chez ses dirigeants. Cette politique se précise de plus en plus, comme celle de la grande Russie, maîtresse absolue du destin des peuples qui se trouvent sous sa domination.

De là, cette épuration des gouvernements locaux qui tend à remplacer les com-

#### DU CONSEIL NATIONAL GEORGIEN

munistes d'origine—soit-disant partisans de Béria — par les agents purement russes. Le peuple géorgien ne saurait voir de différence d'origine dans la bande qui dirige les destinées du pays des Soviets. Il se souvient que c'était l'un des siens — Staline — qui invita la Russie bolchévique à occuper la Géorgie indépendante en 1921, et s'était également ce même Béria qui noya dans le sang des milliers d'innocents, — femmes, enfants, vieillards — le soulèvement de la Géorgie en 1924.

Béria a reçu ses promotions dans le sang de ses compatriotes ce qui lui a permis de devenir le chef suprême des bour-



reaux de l'empire soviétique. Et même à ce poste il n'a jamais ménagé son peuple d'origine.

Le peuple géorgien n'a jamais participé aux crimes de ce sombre personnage et ne saurait en être tenu responsable ; et si les dirigeants soviétiques en arrivent une fois de plus, à des règlements de com-

pte entre eux, la Géorgie, en tant que nation, pas plus qu'aucune autre petite république du système soviétique, ne devrait y être impliquée. Sinon ce serait une preuve de plus que les dictateurs actuels du Kremlin cherchent un prétexte justifiant leur politique d'anéantissement des nations qu'ils dominent.

**დასავლეთ გერმანიის პარტიზმის მნიშვნელობა**

ამერიკა და ევროპა, ახლო და შორეული აღმოსავლეთი, მთელი მსოფლიო დასავლეთ ცერმანიამ სექტემბრის საპარლამენტო (ბუნდესტაგის) არჩევნებს დიდი ყურადღებით და დაქონული ნერვებით მისწვებოდნენ. ყველამ ანტერქსებდა ამ არჩევნების შედეგს, რადგანაც ამ უკანასკნელს უნდა დასურჩეს უთოდ დიდი გავლენა, როგორც გერმანიის შინაური ცხოვრებაზე, ისე საერთაშორისო პოლიტიკაზე და მდგომარეობაზე.

ამ არჩევნებში პარტიათა შორის ბრძოლა უმთავრესად ორი საკითხის გარშემო სწარმოებდა: 1) დასავლეთ და აღმოსავლეთის გერმანიის გაერთიანება და 2) გერმანიის ნეიტრალობა, თუ მისი შესვლა თავდაცვის ევროპულ ერთობლიობაში და დასავლეთ ევროპასთან მკვედრი კავშირი.

მართველი პარტიის, ქრისტიანული დემოკრატების და მათი დიდების, დღევანდელ მთავრობის თავმჯდომარის ადენაუერის საარჩევნო პროგრამის მთავარი დებულება იყო: თავისუფალი არჩევნები მთელ გერმანიაში, მისი ერთი მთავრობის შედგენა და სრული თავისუფლება მთავრობისა შეეძღვს სხვა ქვეყნებთან ნორმალურ საერთაშორისო ურთიერთობაში.

ბოლოში მყოფი შორეული დიდი და ძლიერი პარტია — გერმანიის სოც.-დემოკრატიაც მოითხოვდა, რომ თავისუფალი არჩევნებიდან გამოსულყო მთლიანი გერმანიის ერთი მთავრობა. მაგრამ ის მიზანშეწონილად არ სთვლის ამ დროებით მოხდეს გერმანიის ინტეგრაცია ევროპის ერთობლიობაში. ამას უმთავრესად იმით ასაბუთებს, რომ ასეთი ინტეგრაცია მიუღებელი საბჭოთა რუსეთისათვის და ასეთი პრობლემაში გერმანიის ერთი ნაწილის წარმომადგენლობას — ბონის მთავრობას არ შეუძლია ხელშეწყობა დასდეს მთელი ქვეყნის სახლით

და მიიღოს თავის-თავზე საერთაშორისო ვალდებულებები.

მესამე მოქიშვე ძალის არჩევნებში წარმოადგენდა მოსკოვის დარქტივებით მომქმედი მეხუთე კოლონა გერმანულ კომუნისტებისა, რომელიც მომხრეა მთლიანი გერმანიისა, მხოლოდ თუ ეს უკანასკნელი იქნება საბჭოების გავლენის ქვეშ და მისი სატელიტი. კომუნისტები სასტიკი წინააღმდეგნი არიან ევროპული ჯარის შექმნისა და იქ გერმანიის შინაწილეობისა. ისინი იცავენ გერმანიის ნეიტრალობას, თუცა ის იქნას შეუარღლებელი და ჰყავდეს თავისი საკუთარი ნაციონალური ჯარი, ალბათ იმ სრული იმედით, რომ ნეიტრალური გერმანია დიდი ხნით ექნა შესძლებს იზოლაციაში ყოფნას და ზოლოს მანც საბჭოთა რუსეთის მხარეზე გადასიხება.

ამ საარჩევნო ბრძოლა-შეტაკებაში გამარჯვება ხვდა ქრისტიანულ დემოკრატებს და მათ მეთაურს, ადენაუერს. მათ დღეს პარლამენტში აბაოლუტური უმრავლესობა ჰყავთ, 487 დემოკრატადან 244 ქრისტიანულ დემოკრატია და თორმეტ მოლიონზე მეტი ხმები მიიღეს.

გერმანიის სოც.-დემოკრატია 150 დემოკრატე მათყვანდა და რვა მილიონ ამჩრეველმა ნიღბა განიუქნა. მისი მდგომარეობა დღეს უთუოდ უყუთესი იქნებოდა, რომ ის ამ დროებით ევროპული ჯარის შექმნის და ევროპის ერთობლიობაში შესვლის წინააღმდეგი არ ყოფილიყო, ამით მის მოწინააღმდეგებს დემოკრატიას არ ესარგებლათ და არსებობდა ეს სასტიკი ანტიკომუნისტური პარტია კომუნისტების მონათესავეთ არ გამოეცხადებიათ.

ქრისტიანული დემოკრატების სასარგებლოთ დიდი დამატება განიცადა მათთან კოალიციაში მყოფ ორ პარტია — ლიბერალ-დემოკრატებმა და გერმანულ პარტია, ხოლო ამ არჩე-



ვნებში საცხები ვანიცებულ იქნა — ორი უკონტრესი დაჯგუფება — კომუნისტები და ნაციონლები. მათ ვერც ერთი დემუტარტი ვერ ვაიყვანეს ბუნდესტაგში, თანაც კომუნისტებმა ხმების ნახევარზე მეტი დაპყროეს.

აზიასათვის ფარული არ იყო, ყველანი ნათლად ხედავდნენ, რომ არჩევნებში აშკარად ერთად და მის შედეგებზე ვაყენის მოხდენას ცდილობდა — ორი დიდი სახელმწიფო — ამერიკა და საბჭოთა რუსეთი. ვაშინგტონიდან თუ მოსკოვიდან პირდაპირ მიმართავდნენ დასავლეთ გერმანიის ხალხს და მას თავიანთ რჩევებს აძლევდნენ. ამერიკა ადენაუერს და მის პარტიის ლეიტერა მხარს და დასავლეთის კონსოლიდაციის მომხრე იყო და არის. მოსკოვი კი დასავლეთ ევროპას ვაფთოვებით ემხობის, აქ არცედა-ჩუევის აწყოება, ყველას ერთი-მეორეს უპირდაპირებს, მის აფეთქებას და შემდეგ მის ადვილად ხელში ჩაგდებას ღმობს.

დასავლეთ გერმანიის ხალხმა ამ არჩევნებში უყოყმანოდ ვაყეთი არჩევანი, ევრობის ვაერთთანებას და მისი ცივილიზაციის დაცვას კომუნისტების პარბაჭისულ შემოსევისგან ხმა მისცა.

ევრობის პრესაში აზრი ვამოთქვა, რომ არჩევნების შედეგი იყო ტრაუმული აღენაუერის ძლიერი პარონებისა. ამას წინეთ ჩრჩილი აღენაუერის პოსტარეს ადარებდა. არ არის ადვილი ამ ორი პიროვნების ურთმანეთთან შედარება. მათ სხვადასხვა პირობებში უზღებდათ მოღვაწეობა და სხვადასხვა ეპოქის წარმომადგენელი არიან. უდავოა კი ერთი: მეოცე საუკუნის ამ რომოლნიმე ათელთა წლებს ვაწყოვე ევროპაში საზოგადო აპარატსზე მომქმედ და მებრძოლ პიროვნებათა შორის აღენაუერის უთუოდ არის ფრხად თვალსაჩინო და ვამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე. მიუხედავით ამისა გერმანიის ხალხმა ხმა მისცა არა მას პირდად, არამედ მის მიერ წარმოთხელ პოლიტიკას. ეს პოლიტიკა არის ნათელი და ვარკვეული, სასტიკად ანტიკომუნისტური და ანტისაბჭოური. აღენაუერის პოლიტიკა აფრთხილებს გერმანელთა და მოუწოდებს მას ზურგი აქციოს მათ, ვინც ადგას ავანტიურობას და სხვა რების დამინაუერებს ვზას. პირველ-ყოვლისა აუცილებლად სთვლის მოუარედეს საფრანგეთს, მისთან და სხვებთან ერთად შევიდეს ევრობის ერთობლიობაში და საერთო ევროპიული ვაერთი თავი დაცივან აყრისორისაგან. აი, აღენაუერის ეს

პოლიტიკა ვაიზიარა ამრჩევლების უმრავლესობამ. ამით კი საფუძველი ეყრება გერმანიის მდგომარეობის სტაბილიზაციას.

დემოკრატიული რეჟიმის სტაბილიზაციას გერმანიაში დიად ხელს შეუწყობს აერთოვე ის, რომ არჩევნებში რვა მილიონი ხმა მილო სოც-დემოკრატიამ, რომელიც ნაციონტე-კომუნისტებს უკუღერქის მტრია.

არჩევნების მეტად მნიშვნელოვანი მხარეა ის, რომ ახალი თაობა უკვე ადარ ემხრობა უკიდურეს პარტებს — ნაციონტებს და კომუნისტებს, რომელნიც ერთი-მეორეს ვარზოყებან და ხშირად ერთად მოქმედებენ. ახალ თაობამ ხმა მისცა დემოკრატიას, ერთმა მისმა ნაწილმა ქრისტიანულ პარტიას, მეორემ კი სოც-დემოკრატიას. უკიდურეს ელემენტებმა გერმანია აზა-ერთხელ მიეღვეს კატასტროფის კარამდე. ეს წარსული შეკლომები კარგად შეუგნო გერმანიის ხალხმა და ამაში ვამოხატა მისი პოლიტიკური სიმწიფე. საერთოდ 1953 წლის ზაფხულს გერმანიის მხარეც ცხოვრებაში მეტად საუყრადღებო დატა: როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიის ნაწილმა ნათილყვეს მათი წინაღიმედება კომუნისტური ბატონობისადმი, ერთმა ივისის აჯანყებთ, მეორემ კი სექტემბრის არჩევნებით. ამეათი დანაწილმეული გერმანია წინეთ იშვითად ყოველს ფსიხოლოგიურად ისე ვაერთთანებელი, როგორც დღეს.

არა ნაკლები მნიშვნელობა ექნება არჩევნების შედეგებს საერთო ფრონტზე, საერთაშორისო აპარატსზე.

ამერიკას აუცილებლიდ მიიჩნია დასავლეთ გერმანიის შეიარაღება და მისი აქტიური მონაწილეობა ევრობის თავდაცვის ცხოვრებაში. ევრობის დაცვას აგრესორად გერმანიის ვარუშე და მის დაუხმარებლთა ის შეუძლებლთ სთვლის. ამ მხრე ვინებაუერის და აღენაუერის აზრი და პოლიტიკა ერთი და იგივეა. არჩევნების წინ, თუ თითი არჩევნების პრიცესში, ეიზენჰაუერი-დალესი აღენაუერს ამ მიმართელებით ურჩევდნენ სვლას და მას შესაფერის დამირებასაც აძლევდნენ. ქრისტიანული პარტიის ვამარჯვეტით მეტად ქაყოფილი ამერიკა ანიეროდან კიდევ მეტი ენერგიით დაუტერს მხარს ბონის მთავრობას.

მეორე ანგლი-საქსონურა ქვეყანა — ინგლისი ამ უყანანელი წლებს ვანმავლობაში ევრობის ქვეს სახელმწიფოს ერთობლიობას, თუ ევროპიულ ვაკრებს შექმნის საკითხების ვარ-

ჩვენაში აქტიურად არ ერკეოდა. ამ საკითხებისადმი ის მხოლოდ თანაგრძობის გამოცხადებით და ახლო თვალ-ყურის დევნებით კმაყოფილდებოდა. ინგლისში აქ იყო დარწმუნებული, თუ რა სახით და საიძოვრებით იქნებოდა გერმანია წამოღვენილია ევროპის ერთობლიობაში. მის გზინოდა ეს ერთობლიობა არ გამოამდგარიყო სუსტი და იქ მონაწილეობით არ მივიღო თავის-თავზე ზედმეტი პასუხისმგებლობა. ეხლა, როცა არჩევნების შედეგი გამოიჩვენა და დასავლეთი ევროპის მხად არის მივიღო მისი ძალებით და შესაძლებლობით ხელი შეუწყოს ევროპის ერთობლიობის შექმნას და ევროპული გაჯარის გაძლიერებას, არის უკვე ნიშნები და სამსოვნცხადებებიც, რომ ინგლისი აქტიურად მონაწილეობას მიიღებს მთელ ამ წამოწყებაში და ევროპის თავდაცვაც აღმოსავლეთისაგან უფრო უზრუნველყოფილი იქნება.

საფრანგეთ-გერმანიის უქთი-ერთობის დამოკიდებულება დიდხანია მტკინეული საკითხია ყველასათვის. ამ უქთი-ერთობის დამოკიდებულების მოღვაწეობაში მეთიხვ საუკუნის განსვებლობაში კაცობრიობას ორჯერ ომის კატასტროფა თავს დაატება. პირველი დიდი ომის შემდეგ ადვილი ჰქონდა ბრან-შტრუხემანის ცდებს ამ ორი ქვეყნის ერთმანეთთან დასახლოვებულად, მაგრამ, სამუხაზოდ, ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა. უკანასკელი ომის შემდეგ ევროპის მთლიანობის ინიციატორი და მუქომადე საფრანგეთი — მისი მთავრობის თავმჯდომარე, თუ საუკაცო საქმეთა მინისტრი რობერტ შუმანი იყო. თუმცა შუმანის გეგმა ფოლოციას და ნანშონის უქთობლიობის განზორციელებულია და მოქმედებს, მაგრამ შუმანმა ექი შესლო საფრანგეთის პარლამენტის მომზრობა და ევროპის მთლიანობის და ევროპული გაჯარის საკითხების სათანადოდ მოგვარება. ამის გამო ის მთავრობას განშორდა.

საფრანგეთი დღემდე ყოყმანობს და ფრთხილობს; მის ემნია ევროპის ერთობლიობაში გერმანიის გაძლიერების და დომინაციის. ეხლა კი, გერმანიის არჩევნების შედეგე ყველა ეს საკითხები საბოლოოდ უნდა გაიჭყეს. აქ არის მოულოდნელი, რომ საფრანგეთი ხელახლად დიდი ყვეს აქტიური როლის თამაშს და წინადადეგის ინიციატორს ხელს იგდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, როგორც ეს არსებობს ყოფილა განცხადებული, რომ ამერიკის ცდით და დაქინებით ადვილი ექნეს გერმანიის

სამხედრო ძალების პირდაპირ და უშელო ინტერვაციის ჩრდილო ატლანტიკის საქტში. საკითხია, რა უფრო საშუაია საფრანგეთის უზრუნველყოფისათვის, გერმანიის სამხედრო ძალების ინტერვაცია ევროპულ გაჯარში, თუ ევროპის უკონტროლო გერმანიის ნაციონალურია გაჯარის დამოუკიდებელი არსებობა? იმედია, დაბოლოს საფრანგეთი, გაუწყეს რა ანგარიშს დღევანდელ საქთაშორისო მდგომარეობას, ევროპული გაჯარის შექმნის პრიეტეს მიიღებს და პარლის უკვე არსებულ ხელშეკრულებას ახლო მომავლში რატევიკაციას მოუხდენს.

დაგერა ერთი მნიშვნელოვანი საკითხია — საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულება. ამ ორი უკანასკელი წლის განსვებლობაში მოსკოვმა ყველაფერი ჰქნა, ყოველნაირ ზომებს მიმართა, რომ გერმანელი ამჩეველნი ადენაუერის პოლიტიკის წინააღმდეგ მიემართა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამჩეველებმა უარს მოტყეს საბჭოთა რუსეთთან კომპრომისზე, არ მიიღეს მის მიქს წამოყენებული იდეა გერმანიის ნეიტრალიობის, ამჯომინეს ევროპის სახელმწიფოთა ოჯახში შესვლა და იქ ყველასთან ლილიალთი თანამშრომლობა. ქველი არჩევნების შედეგებით ვაცოვებულია და ადენაუერის გამარჯვებას დოლაჰების საქმეთ სთვლის. არჩევნების შედეგების გამო ვაკეთებულ განცხადებაში, ცხადია მოსკოვის დაუაღუტის, აღმოსავლეთ გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ამჩეველებს ყოველივე ზომა იხმარონ ადენაუერის პოლიტიკის ცხოვრებაში ვატარების წინააღმდეგ და მოითხოვონ დაუყოვნებლო შედეგინი იქნას დროებითი მთავრობა მთელი გერმანიისათვის. ე. ი. ეს მთავრობა იქნება არა შედეგი თავსუფალ არჩევნებისათვის მთელი გერმანიაში, არამედ მოსკოვს სურს აღმოსავლეთ გერმანია მისი 18 მილიონანი მცხოვრებით ვათთანასწორის წონით და მნიშვნელობით 48 მილიონინ დასავლეთ გერმანიის და, არჩევნების ვარჯზე, პარტიტტს ნიადაგზე შეუადგინონ მთავრობა. აქედან ნათლად სჩანს, რომ ოპის სახელმწიფოს განზრახულ კონფერენციაზე (ვექს კოდე საკითხია, თუ ის შესდგება) საბჭოთა რუსეთი წამოყენებს გერმანიის ვსაერთიანებლად ზემოდ აღნიშნულ პირობებს, იქნა რა, რომ ასეთი პირობები, როგორც დასავლეთ გერმანიისათვის, ისე მოყავრებულისათვის მიუღებელი იქნება. მოსკოვს არასოდეს არ უნდაოდ აღმოსავლეთ გერმანიის ხელიად ვა-



შეება და გერმანიის გაქრთიანება მისი გავლენის და პატრონობის ვაჩქრეშე. ამას არ მოსურვებებს არც ქალა, როცა დასავლეთ გერმანიის არჩენებში მისი პოლიტიკა სასტიკად დამარცხდა. და ის პრესტიჟის საკითხს ხომ დიდ ყურადღებას აქცევს. ამიტომ არ არის მოსალოდნელი, რომ საქართველო კავშირის და მოკავშირეთა შორის გერმანიის პრობლემის შესახებ რაიმე შეთანხმება

მოხდეს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოკავშირე ქვეყნები ევროპის გამაგრება-გადლიერების და მათი თანამშრომლობის საქმეს კიდევ მეტი ენერჯით არ აწარმოებენ და საქართველოს ამბიციებს მაგარი მუშტით არ დახელებიან.

კ. ვვარჯალიძე.

სექტემბერი 1953.

### ჩვენი გათიშულობის მიზეზები

გადავუღოთ თვალი ჩვენი ერის წარსულ ცხოვრებას. დავაკვირდეთ მომქმედ გმირებს მისი მრავალსაუკუნოვანი ყოფიას. ეგებ მან მოგვეცეს ვსაღები ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის აფან-ჩანების.

დავით და კონსტანტინე, დიმიტრი თავდადებული, ქეთევან წამებული, გიორ. სააკაძე, ცხრაძმა ხერხეულიძე და რამდენი სხვა მეფე, ერისთავი, აზნაური და უახლო, სამეფოებელი თუ ერისკაცი მტლად დასდებია ქართველი ხალხის უყვადებას; ქართველთა მიწა-წყალის დაცვას და შენარჩუნებას.

რომიელი ერი დაქადებს ჩვენზე უკეთესა და უმრავლესი ეროვნული გმირების ყოლით. ან რომელი მოწინავე ერი არ იამაყებს ისეთი სახელოვანი წინაპრებით, რომლებზეთაც ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ.

ქართლის ცხოვრებამ არ იცის მოლაღატე სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით; და შინც ჩვენი ქვეყანა, საუყუნოების განმელობაში, დანაწილებული ყოფილა ქართველ მეფეთა, მთავართა და ერისთავთა ურთი-ურთ დამოუკიდებელ ერთეულებად. მათ შორის მშვიდობიანობა უფრო იშვიათი ყოფილა, ვიდრე ძმათა შორის ატეხილი სისხლიანი ომები.

არც ქვითი მეფე, არც მთავარი, არც ერისთავი არ ყოფილა სისხლის მსმელი მტარავლი, ქართველი ხალხის დაქვეითებისა და განადგურების მსურველი. პირიქით, ყველა მათგანს გულწრფელად უყვარდა ერი, მაგრამ თვითუფლის საკეთილსა პარონების ირავლე უნდოდა საქართველოს გაქრთიანება, ქართველობის გაძლიერება, აშენება და გახედიერება.

თვით ლიპარტ ორბელიანი — ორბის ციხე-სიმაგრის ეს ზეადი უქოსთავი—რომელმაც უფრო მეტი ზიანი მიყენა გიორგი მეთრეს საქართველოს, ვიდრე არაბებმა და თურქებმა, მხო-

რეალე მშენებელი იყო ეკლესია-მონასტრების და ღრსეული მუშაველი როგორც საეკლესიო, ისე საერო ხელოვნების, პოეზიის, მწერლობის და სხვა ღირსშესანიშნავ დარგების.

დავით მეორემ, შემდეგში აღმაშენებლად წოდებულმა, როდესაც ხერხეული ვაუტება და მაგარი ლეგამი ამოსდვა ლიპარიტს და მის მსგავს ადვირახსნილ ქართველ ქრისთავებს, ერთი მაგისტრალური დაქვითი განათავსულვა ქვეყანა უძლიერეს არაბთა დაპყრობისაგან.

კონსტანტინე გამსახურდია თავის ისტორიულ რომანში, დიდ ისტატ კონსტანტინეს მარჯვენაა. მეფე ვაიორგი პარულს სიტყვადღის წინ ანდირდა (თუ მეხსიერება არ მეთლატობს). შემდეგ ისტორიულ სიტყვებს წარმოათქვეყნებს: „მთელი ჩემი ენერჯია ქართველთა დამორჩილებას შედლოე. ყოველ მეჯინებეს მეჯინებეთ უხეცესობა უნდოდა. ყოველ მხედაქს — მხედართ-მთავრობა და ყოველ ერისთავს—მეფეთა-მეფობა“.

ეს გადაჭარბებული ამბიცია, პირადი მეობის უჩვეული ვაზვიადება, ჯიბრი და პირველობისაკენ შეუკავებელი ღბოღვა, რომელიც თვით ეროვნულ დისკალინასაც კა არ ემორჩილება — ის ხარვეზია ქართველი კაცის ხასიათში, რომელსაც არც ერთი ზიანი მოუყენებია ქართველობისათვის.

თვით უახლოესი წარსული მოწინაე ამის, და განსვენებული ნოე კორდანიის სამართლიანად შენიშნავს თავის გამოსათხოვავი წუნში: „მე რომ ბოლომდეკი ვყოფილიყავი, ფოლივე მსხარადე მენშეეკი იქნებოდა“—ო.

ს. ორჯონიძიძე, ფ. მახარაძე, მ. ორბელიანი და ძმანი მათთან ამ პირადი ამბიცით მუშაკობილნი შემოუძღვენ საქართველოში ჩეს ზოღმევიკთა ურობებს. მათაც, ალბად, საუკუნთარი ხელით უნდოდათ ქართველი ხალხისათ-



ვის ბედნიერების მოტანა, მაგრამ პირადი ამბიციებით დაბრმავებულები ველარ ხედავდნენ, რომ წინ მშობლიურ ქვეყნის დამონაბასა და განადგურებას მოუძლიოდნენ.

პირველობისა და სრულყოფილობისაკენ მისწრაფება თავისთავად მარწმე და საზიანო კი არ არის. კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ამ გრძნობას ბევრი რამ კარგი და ღირსეული შეუქმნია. მაგრამ როდესაც ამ გრძნობას საზღვარი არ აქვს, როდესაც იგი დამონაის უსუნავს მოვლულობებს აღარ ემორჩილება, მაშინ იგი დამლუბველი ხდება. ჩოგორც ამ თუ იმ საზოგადოებისათვის, ისე ერისათვის და ასევე მთელი კაცობრიობისათვის.

იშვითაა გიორგი სააკაძის მავალითა:

ქართლის უბრალო აზნაური, საკეთარი უნაჩიით ქართლის შოურავობამდის აღწევს და, აღზად, კიდევ უფრო მაღლა იტვირება... შეუსა და მტრობას არ სძინავს, ვინ აპატებებს გუშინდელ ბეგანოს ვადიდატებს. შეუქმლებს იმპრობებს დიდებულ სარდალს წინააღმდეგ და მხოლოდ პირადი ღიამბაცე იხსნის მას მკვლელობისაგან. თავის ქვეყნიდან დევნილი, შაჰ-აბასის კარზე ეძებს მფარველობას, რომ შეუსი იძიოს მუსხანათ მტრებს. შეუჩის ძიების წუთმაც არ იდაყოფნა. შაჰ-აბასს სააკაძეს ირანის მხედრობასთან ერთად საქართველოს დასაპყრობად ისტუმრებს, როცა გიორგი დარწმუნდა შაჰის მსჯერობაში, ჩოცე მიხედა თუ რა ფასად დაუჯგვებდა საქართველოს მისი სამართლიანი შეუჩისძიება, მაშინ მას ერთი წუთითაც აღარ უყოყმანია; და, როცა მან შუა ვააბო ყორხისხანი, მაშინ ქართლად ერის ზეარსად შესწირა არა მარტო პირადი ამბიცი, არამედ სიყრმის შვილი პატაცე.

იოხეს ჯულაშვილმა კი პირად ამბიციებს შეუსწირა საქართველოს თავისუფლებად და ათა-თავის მოწინავე თანამემამულეთა სიცოცხლეც. ინ სიკვდილამდე ტყვე დარჩა თავის-თავის საზღაპრო განდიდების და ასე ტყვედ ქნილი ვადავიდა ამ ქვეყნიდან.

ვერც ბაგრატიონთა დიდებული ოჯახი აცდა ქართველი კაცის ამ ნაკის და ხშიდარ, ჩოგორც თავისი არსებობა, ისე საქართველოსი. განსაცდელში ჩაუვლია.

რუსულად დიდოვალი უღირსი შვილი აღმოჩნდა ბრწყინვალე თამარისა. მან არამც თუ მემკვიდრეობით მიღებულ უძლეურებას სახელმწიფოს შენარჩუნება ეურს შესძლო, არამედ პირადი ამბიციების გულისთვის უსინდისო მსხ-

კვრობით ხელი შეუწყო დამარცხებული ქვეყნის არა სამეფოდ გაყოფას.

ურკელ მცვეს მემკვიდრეთა შორის, რომ თანხმობა ყოფილიყო, რუსეთი ქართველ სამეფოს ვერ გააუქმებდა და საკეთარ მეფის ირგვლივ შემოკრებული ქართველი დიდოს მფლობელ შესძლებდა, შესაფერა მომენტში, ვასალურ მდგომარეობიდან თავის დასხნას. წინააღმდეგ ამისა, პატარა კახის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრები ყველა თავის-თავისკენ იწიწებოდნენ და შეუქმულობას უწყობდნენ ტახტის კანონიერ მემკვიდრეს. ასეთმა პოლიტიკამ დაიღუპა სამშუდამოდ თვით ბაგრატიონების ოჯახი, ხოლო საქართველოს საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თვით-არსებობა დასაკარგვინა.

კიდევ ჩამდენი სხვა სავალალო მავალითის მოყვანა შეიძლება ჩვენი ერის წარსულიდან, რომლებიც აშკარად დაღადებენ თუ პირად ინტერესებს და ქართველი კაცის უღისცილობისას, რამდენი ზიანი მოუტანდა საქართველოსათვის, ჩხარავად, შეუბოჩკვა ერის უნარი და გაქნება. შეუძლებელია ყველსი იქ ჩამთვალა. საქორც არ არის. რაც ვთაქვით იმიც საქართველისა ანალოგია, რომ გვაგვიკითხ ჩვენი დღევანდელი ყოფის და რომ ჩვენი ემოგრაციის პოლიტიკური ვათიშულობის ნამდვილი ესანსი დავასხელოთ.

ქართული პოლიტიკულის ემიგრაცია მინიატურული ვამონახელობაა ქართველი ხალხის. იგი მატარებელია ჩვენი ერის, როგორც ჩინებული, ისე ნაკულლოვანი ბუნების და, აღზად, ამიტომ სამი ათეული წლის მისი დედა-ამშობლიოსთან დაშორების მანძილზე არასოდეს თავი ვაჩიყულად არ უგროძნია იქ დაჩრეწილ თანამემამულეთაგან. პირიქით, ემეგრაცია უხილავი სულიერი ძაღვებით შეიძროდა ვადაბმული რკინის ფარდებში მოწყვეტულ ქართველობასთან და იგი ერის ცხოვრებით ცხოვრობს და სულდგმულობს. ბრძოლა და ვამაჩუგების წყურვილი იყო და არის ქართველ ლტოლვილთა არსებობის დედა-ანხრი. იგი ცხოველყოფელია და 32 წლის დღესპირ ემიგრანტული ცხოვრებისაგან ვერც კიდევ ხელშეუხებელი. მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი ერთვოდა ანთებული ერთი და იგივე წარჩინებული ვაძნობით: ენახურის და ხელი შეუწყოს ქართველი ხალხის კეთილდღობას, ხელოად ვამოხტაცოს საქართველო კრემლის ტირანისა და ის თავისუფალ ხალხთა საერთო ოჯახში შეიყვანოს ვით



თანასწორი თანასწორთა შორის. ამიტომ უფუნესტება ერთი ნაწილი კარგ პატრიოტებად მიენათლით, ხოლო მეორე ნაწილი ცუდებად. ასევე უფუნესტება ვინაყეთ—მე პატრიოტი ვარო, რადგანაც პატრიოტუმი იგივეა, რაც მშობელი დეისი სიყვარული. მხოლოდ საწინააღმდეგეთ მოუქნება საკვირველი და დასაძრახისი.

აქ ასტებობს ჩვენს შორის ძეთი პოლიტიკური დაგუფება, რომელიც კატეგორიულად არ მოითხოვდეს საქართველოს დამოუკიდებლობას, მისი მოტაცებული თავისუფლების აღდგენას. ყველანი თანახმანი ვართ, რომ საბჭოთა რეჟიმის დაზობის ვაჭრე შეუძლებელია საქართველოს განთავისუფლება, რომ ჯერ დათვის მოკვლას საჭირო და მეტრ მისი ტყაყის დანაწილება... და მაინც არ მოხერხდა საქითი ეროვნული სრული ფორმის შექმნა, მთელი ჩვენი ძალების ერთ კალაპოტში მიშვება.

აბა, ვულწრეულად, მიზნადერთ რა არის ამის მიზენი? რა უშლის ხელს ამ ერთობას, რომელსაც ქართველობა „აღდგომასავით ელიდა“ და ელოდება? ის „წყველი დოლარები“ ხომ არს საერთობელასავით რომ აზრიალებენ გავით „საქართველოს დამოუკიდებლობის“ ფურცლებზე? როგორ გეკადრებთ! ასეთი ზღაპრებით ეხლას ზაგუვებასაც ვეღარ აძინებენ. ნამდვილი მიზენები, ვისაც აინტერესებს სულ ადვილია და მას არავითარი კავშირი არ აქვს ეგვიტის მისტრქებითან. ყველას კარგად მოცინება, რომ არც ბანი ღონ-ლენინის და არც ბანი კერენსკის ხენება არ არსებობდა ჩვენ შორის და მათას დამე არც ბნ მეღუფთვის და არც მიუნხენის საკოორდინაციო ცენტრის და ასე ამერიკული დოლარებისა და მაინც უმიგრისკის ვაერთიანება ვერ მოხერხდა. ერთი წლის უწყალოდო ზოლას პარტებას შედეგად მოკევა „ქართული ეროვნული პოლ. ცენტრი“ და მის ვარედ დარჩენილი ეროვნული მთავრობა და დიდი უმრავლესობა პოლიტიკური ემიგრაციისა. რას დასამალოა, რომ უთანხმოება არა პრინციპალური-იდეოლოგიური ხასიათისა იყო, არამედ პირადული, ზოგიერთი მოხუც პოლიტიკური მოღვაწეთა პირადი შუღლით გამოწვეული. კერძო ანგარიშები, პირადი ამბიციები და ურთიერთშორის კინკლაობა პირველობისათვის — ეს ჩვენი ისტორიული მტერი მოგადვებს აქ ემიგრაციამ და მოხენებას არ გვაძლევს.

განა სხვანაირად შეიძლება აისხნას ის ფაქტი, რომ ურთიანული მთავრობა, რომელიც ქართველ-

ელი ხალხის ნება—სურვილით იყო არჩეული, რომელიც სამი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქრის ბედ-იღბალს და სამი ათეული წელია დაუღალავად იბრძვის ერის შებღალული უფლებების აღსადგენად, რომელიც ერთადერთი ეროვნული ინსტიტუტა საკეპო ავტორიტეტი რომ სარგებლობს, როგორც უტკოვლ მეგობრებთან, ისე თვით ქართველი შორის, გავუქრავა ჩვენგან და უმთაოდ გვექარმოვება განთავისუფლებული ომი?!

განა ცხადი არ არის, რომ თუ ვინმეს ვულწრეულად ვაერთიანება უნდოდა და ამავე დროს დაბრძანებული არ იყო პირადი ამბიციებით, ეს ვაქითიანება მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული მთავრობის ირგვლო შეიძებოდა და არა უიმისოდ ან მის წინააღმდეგ?!

ჩაუყვარა რა საფუტეელი ემიგრაციის ორად გაითიშვას, იმ თითოვე იქნა დაშვებული შეცდომა თუ დანაშაული, ხოლო შემდეგი შეხილას შემოხლა აქედან გამომდინარე უზენაესი შედეგია და ამიტომ მაინც და მაინც ვეგვის არი აყვირებს. ორთა-ერთი დაპირისპირების პირობებში რა ვასაკერია თუ „ცენტრისტებს“ მთავრობის და „საბჭოს“ პოლიტიკური ხაზი არ მოეწონებათ და მის წინააღმდეგ სიტყვიერება თუ წუქარლობით ვაილასჭაქებენ. მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ამ გამოლაშქრებებს ხშირიად ულოლოკობა ახასიათებდა და არა ერთჯერ სიტყვები საქმეს ცოლდებოდა.

როდესაც ქარ. ეროვნულმა საბჭომ თანამშრომლობა დაიწყო ამერიკულ კომიტეტთან ერთად, ცენტრის მესველენი ამერიკ. კომიტეტს უწოდებდნენ სრულიად უმნიშვნელო დაწესებულებას რუს-ემგრატების მიერ შექმნილს ერთი და განუყოფელი რუსეთის დასაცავად. როდესაც ამ კომიტეტს წევრები ეგრძობაში მოდიოდნენ, ივინიენი ყოველივე ზომას ხმარობდნენ, რათა ამ „უმნიშვნელო კომიტეტის“ წევრებს მათი მიღება კეთილ-ენება.

ესაღდენის მოლაპარაკებები და მოუნენის საკოორდ. ცენტრი ცენტრისტებმა თვით საშომივე დადგნეს. მათი ლოლიკით საერთოდ რუსებთან თანამშრომლობა პოლშევიკებსა და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ საპროლოველად ერთ ვნ ულ ი დალატი იყო, ხოლო თუ მაინც და მაინც იქნებოდა ლაპარაკი თანამშრომლობაზე, უშედეგო იყო 214 მონაჩქისტული და აშკარა „ერთი და განუყოფელი რუსეთი“ მათთვის მებრძოლ ემიგრანტულ ორგა-



ნიხაცებთან მომხდარიყო და არა რუსული ემიგრაციის იმ შედარებით დემოკრატიულ და პროგრესულ ნაწილთან, რომელიც მიუნხენის საკ. ცენტრში იყო წარმოდგენილი (Sic).

ზოგი უნა პატრიოტისათვის მთავარი იყო ბ. მეღვინოვს ფარტინა ქალღმერთი დაპყრობილ ერთა დამოუკიდებლობა ცენო, ხოლო თუ პრასტიტუელი თანამშრომლობა როგორ განხორციელდებოდა საკ. ცენტრში წარმოდგენილ რუსულ და არა რუსულ ორგანიზაციებს შორის — ეს მათ ნაკლებად აინტერესებდათ. ქართ. ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებმა უდიდესი ყურადღება სწოიუდ ამ უკანასკნელს მიუქცეს, რომ ეროვნულ უმცირესობებს ანტისაბჭოთა ბრძოლასთან ქრთად ეროვნულ განმთავისუფლებელი ბრძოლის წარმოების შესაძლებლობაც ჰქონებოდათ.

რუსული სექციის ერთმა ნაწილმა ეს ამბავი ვერ აიტანა, ვერ განთავისუფლდა საუკუნოვან ელითაროუსული იმპერიალისტური შეხედულებებისაგან და კერესიკი, მეღვინოვი და მისი მიმყოლი ვაებატონები საკორ. ცენტრიდან გაიქცნენ. გახ. „საქარ. დამოუკიდებლობა“-ს ეს ამ-

ბავიც არ მოეწონა და ქართ. ეროვნულ საბჭოს დამარცხებას უკავინებს. სად ხელდას იგი ამ დამარცხებას? თუ ამას დამარცხება ჰქვია, მაშინ მართლა დამარცხებას რაღა უწოდოს? გახ. „საკ. დამოუკიდებლობა“ კითხულობს: თუ რისთვის დაიკავა ტყუილ-უბრალოდ ორი წელიწადი, თუ მას ეს გულწრფელად აინტერესებს, სულ მოკლედ მოვასწებთ:

1. ამ ორი წლის განმავლობაში შეიქმნა მიუნხენის რაიო-სადგური;
2. ამავე ხანაში შეიქმნა და თანდათან მტკიცდება მძლავრი ანტიბოლშევიკური ფრონტი დაპყრობილ ერთა პოლიტიკურ დეგენილობისაგან, რომელთა შორის რუსული ემიგრაციის მოწინავე ნაწილიც არის წარმოდგენილი;
3. დაუვკავშირდით ამერიკის მნიშვნელოვან ანტი-საბჭოთა დემოკრატიულ ძალებს; ვადაცანით მათ ეროვნული საკითხი საერთოდ საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოს საკითხი.

საკმარისი არ არის? შეიძლება, მაგრამ ნათქვამია: „ისეთმა ფურმა დამწიხობა, რომელიც ჩემზე მეტს იწვევს“-ო.

გაგი წერეთელი.

„ჩიქოვანი და სხვანი მრავალნი...“

„დასტოვეთ ყოველი იმელი თქვენ, ვინც აქ შემოიღისართ...“

დანტე

საბჭოთა რუსეთი ევროპისა და ამერიკის თვალში მრავალხრივ წარმომადგენდა საკვირველურას, აუხსნელ ფენომენს...

ბეგრავრ შეეცადნენ მოეხაზონ, მიწრაღნი, პოლიტიკოსნი და ეპქარნი ოღნვე მანც ვარკვეულიყენ ამ საშინელ ლაბირინტში, საიდანაც კბილთა ორქენის და მძიმე კენესის ხმები ისმოდა, მაგრამ... ყველაფერს ფლობდა სადღემლოება „ჩიქინის ფარღისა“.

ვერ ვარკვეულიყენ გულმტრყვილი უტბოვღნი: თუ მართლაც ასეთი მზიური და ხალისიანია იქ ცხოვრება, რად მალავს ამ „სამითხეს“ რუსეთი რიქინის ფარღის უქან? ვანა მისი ინტრეესი არ მოითხოვს, რომ ეს ბედნიერი და ლლი ცხოვრება ყოველმა უტბოვღმა ნახოს? ამაჲ კვირგობდენ ისინო, ვარუშენი, თორემ საბჭოთა „სამითხედენ“ ჩაქედლიო, დამონებულთა ხალხი — საბჭოეთის ქრტბი — თავიდანვე ყველაფერს კარვად ხელავდენ; მათ ხომ საკუთარს უწრყით ეზო-

დათ ამ მონობის ჯვარი; და მას მშვიტსა და მშვიტულს სცემდენ და ათასგვარად ამცირებდენ, კიდრე ძალაყამოცლოლი არ დაეცემოდა; — სად და როგორ ხდებოდა მას სულო, ეს „მშუთა — სად და გლესთა“ მფარველი, „მშრომელთა მთავრობას“ არ ეინტერესებოდა: მტუმა ხელო, ეს უბიროვნო ნუმერი, უკვე გამოფიტული, ძალა გამჭარლი იყო და საინდენტარო წიგნშიამ ამ წიგნისტიდან „ჩამოსწერდენ“, ვით დახარჯულს და გამჭარლს; მის ადღიღს ეზლა სხეებს მოარყედენ და ახალ ნუმრებს მაიკრავდენ, ვიდრე ცხენიც არ დაეცემოდენ. რა და ეინ იმყოფებოდა ამ წიგნისტიდან — რა პირადული განცდანი, ცოდნა, სიყვარული, ნიჭი და გამოცდილება, — ეს ხომ არავითარი საინტერესო აღარ იყო.

ჩვენ ამას არა თუ ვტვადვით, არამედ ამ საშინელ ამბავს საკუთარის ცრემლით, ოფლით და სისხლით ექწერდით... და, სხვებთან ცრთად, საქართველოს საუკეთ-



სო შვილები აქვსებენ ზოგიერელ ციმიბირის ციხეებს და, მთელ რუსეთის სივრცეზე მოფენილ, საკონცენტრაციო ბანაკებს.

ხანძისთან თითო-ოთხი, რაღაც სასწაულით გადარჩენილი და უცნაური ტალით გადმოსროლილი, თუ გამითრანი ამ გაუგებარი წამების და დამცირების ამბებს, რომელია წინაშე დანტეს „ჯოჯობეთი“ მართლაც „სამოთხეთ“ უნდა ჩაეთვალოთ. ასეთი იყო რკინის ფარდის უკან „გაუალეზელი, ზედნიერი ცხოვეტა“.

ჩვენ ამაზე მუდამ ვსწრდით, გავცვირდით, საჯაროდ და დოკუმენტალურად ვაშუქვდით იქნურ ცხოვრებას, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ბეჭეს, ძალიან ბევრს არ სჯეროდა.

„მებრძობები ბრძანდებით, ნუქვილებს; გაბრაზებულნი... ზუნებრთი, რომ ყველაფერს აზვიადებთ და აჭარბებთ... ასე არ ვარგა; უნდა მოითმინოთ, აიტანოთ და საბჭოთა რეჟიმის ევოლუციის გზით ყოველი მოგვერდება, კალაპოტში ჩაღება!“... ასე „გვესწავლიდნენ“, ხშირად აბეზარის და მელიდურის ტონით ევროპელი და ამერიკელი, რომელთაც სჯეროდათ საჭურთა მდგომარეობის იზოლიაციისა, „სანდო-პოლიტიკორდინის“ და სწამდით, რომ ამ ახალ ჯურის კანიბალებთან უჭირობა სახირო იქმნებოდა...

მაგრამ დრონი შემობრუნდენ და ეს ფსიქიკაც ძირიანად შესცვალეს: წითელი „კანინი“ ცუდი ვაჭარი გამოდგენ; ანთებულის ჩირაღდნით შეიჭრა ევრობა - ამერიკის კულტურულ წრეებში, ოჯახში, სკოლაში, ცელსისაში, სახელმწიფოს მრავალ დაწესებულებებში, პარტიებში, პოლიფსიონალურ კავშირებში და ყოველივე გახრწნა, დაშლა, ცეცხლს მისცა... მათ საკუთარ ოჯახში გამანადგურებელი სენი ვაჭრისა.

აი, აქ იწყება ახალი ხანი გამოფხიჩულების და თავდაცვისა: ესენი უბსკრულის წინ მღვარნი, ირანზებიან და შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ ახალ საქურველს იხსენებენ. ეხლა ფარდის იქით „გუზუნებულ“ სამოთხის აღარავის სჯერავს. სწენ სიტყვებს, ნიბებს ისინი დღეს გულდასმით იხმენენ და ჩიბიდან გამოსავალ ვხუბს ჩვენთან ერთად ეძიებენ... ჩვენ კარვად ვცით, ჭრამ ეს არ ხდება ჩვენი საყვარელისა და დაფსებისათვის, რომ ან დარაზმებს და ჩვენი რიგებში ჩადომას მათ საკუთარი თათვის ეადარჩენ უკანობებს... მაგრამ ვინა ეს რამენი ცვლის? განა მთი უფუტისი არ არის ეს ჩაურულ ერთადის? ვინა ამ დიდ ძალებს დარაზმეა წითელი ტიარისი წინააღ-

დეგ ჩვენ იმედით არ უნდა გვეცოდებოდეს? და დღეს ჩვენ მართლაც გვეჯერა, რომ ამ დიდ ძალთა დაწოლას, დიდ ცივილიზაციას და ტექნიკას, რუსეთის ბარბაროსული, მონობის ცივიზიკანაში ვიღარ გავძლებს და დიშვება... დღეს უფრო მხნედ ვართ უფრდეს მოკავშირეთა გვერდით და გვეწმის, რომ ერთია და პიროვნებათა განათვისუფლების ებოქა მოახლოებულა...

ეხლა „რკინის ფარდის“ უკან მიმდინარე საშინელებზე არა მარტო ჩვენ გავცვირით, არამედ მრავალნი უცნობი, რომელნიც ამ უცუენეთ მონობაში შემთხვევით მოექცენ და შემთხვევითვე გადურჩენ სიმშლითა სრკვილს. ეხლა ესენი ჩვენთან ერთად სდგან და უძალიებს სამსახურისა განსაზღვრ მოითხოვენ კაცობრიობის და კულტურის ნტრთა წინააღმდეგ. წითელი რუსეთი უნდა სამგალითოდ დისაჯოს, „რადგან“, ამბობენ ესენი, „ჩველაზე უსამინელესი, ისტორიისში ჯერ არნახული, დღენა - დამცირება, დაშლა და განაკებს“ ცოცხალ პიროვნებათა და უღანამაული ხალხთა ხდება ამ ფარდის უკან საშინელ ციხეებში და უფრო საშინელ უამრავი დაუცვლობაში, — მონური შრომის და გაყინული ქარხნებში... და ეს ამბები რუსეთის ნამდელი სახისა, უცხოელი ჩვენთან ერთად სასშარაოზე გამოქვით. დღეს მთელ კულტურულ ქვეყნებს მოდუნან მონური, იძულებით შრომის შესახებ „მოუღებანი“ და „აღწერანი“; ფოტოგრაფიულის სინამდელით გვიწლიან ამ მონათა საშაროს სურათებს: ელინორა ლიპკური, მარგარიტა ბუბერ - ნომინისა, იულიუს მარკოლინი და კიდევ სხვანი.

მერტოთ რა უნდა იყოს ამ გადმოცემებში ეტრძოდ ჩვენთვის ახალი? აკი თითქოს ტანჯვა - წმებათა ყველა რკალები გარდავევლასვს... მაგრამ, სინამდელიის საშინელმა ჩვენს წარმოდგენის უნაჩსად აღმებატა.

ამის ცხადყოფელია, სხვათა შორის, ის ორი წიგნი, რომელთაც ეხლახან გვეცენისი და რობ მლებმაც წარმოუდგენელი, გამოუთქმელი ვება და დღეს, გვეყა და წამება, სიმშლი და სიშიშველ, პიროუყველ უღელში შემბულ 22 მილიონან ლაგერებს მონებს, გარდაგვიშალა.

პირველი წიგნია ცნობლ მწერლისა, კრიტიკოსის და მკვლევარის ივანოე - რაზუნნიკისა, რომელიც ჩვენ გვეცენის რუსეთის საპრობოლუტების მთელ წყებას, ჩიკის იღუმალ სარდაფებს, პატიმართა „რეჟიმს“, ღამის დაუსრულებელ



დაკითხვებს, დამცირებების გაუგონარ ფორმებს: ცემა, სიმშოლს და ათასნაირი ჯოჯოხეთიური წამებას... და რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ ის რაღაც ფანტასტიკური შეთქმულების მომწყობი იყოს, რომლის წევრები არიან „შემდეგი ათეულობი და ასეულობი“...

სიმშოლით, კარცრობით, სიბნელით, ვირობების სადგომში ჩაყვებით და დაუსრულებელ ცემით უნდა „გატყდეს“... მხოლოდ სასწაულით თუ გადურჩება ვინმე ამ გატყნას და შემდეგ ხომ სულ ერთია — ის კაცი — კაცად ცეცხლადის გამოდგება. რათ უნდათ ეს? რისთვის სჭირათ?

და მალე თქვენთვის ნათელი გახდება, რომ აქ არის მთელი მზაკვრული სისტემა, რომელიც პერმანენტულად აქროვებს უსასყიდლო მონათა არმიას; ამან უნდა კვლავ შეატოს სიმშოლ-სიცოცხეს განადგურებული პაატომიანი მუშები საკონცენტრაციო ბანაკებსა. ეს მართლაც უმძიმესი და ურთულესი საქმეა, თუ მუდამდობაში მივიღებთ, რომ 22 მილიონი უფასო მუშა-მონების კონტინგენტი ორიოდე წელში საცემბით იცლება, იფურტება და მათი შემცველლთა ტალღები განუწყვეტლავ უნდა მიმდარბობდეს ამ „ლაგერებში“ კარბოვს... მთავარია, რომ მონათა მუშაობა არი შეწყვეტეს, დიდი მექანიზმის ბოზბლები მელამ ბრუნავდენ.

და საბჭოების საკარობილები, საცა ჩეკის გამომძიებელი მთელი დამცები მუშაობენ, საკონცენტრაციო ბანაკთა ამ ახალ „კადრებს“ ამზადებენ...

პატომიანი უნდა „გატყდეს“, „შეთქმული“ გასცეს და ბოლოს ყველა ცხენი ლაგერებში სიმშოლბედ უნდა გაიჩეკოს...

შუღლებულია ამ „დაკითხვებს“ ბოლომდე ვინმე გაუძღოს... სამაჰსო ხომ უღვევლი მკავილიობია. მაგრამ ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთი იგანბ — რაზუმნიკის წიგნად, რომელიც ქართველი პატომიანს შეეხება. ახალგაზრდა, მწე და ძლიერი ნების ტესალი ვინმე ლორთქიფანიძე, ყველას აბლებს მისი არაჩვეულებრივი სიმტკიცით. გამომძიებელი ილიბიან, ყრთმანეთს სველიან; დაკითხვები ათასნაირი ინვიგისტორიულ იარაღბით მთელი ლამები გრძელდება და ბოლოს ნაცემ — ნაცემს, დასისლიანებულ ლორთქიფანიძეს საკანში შევადებენ — ხელ დამემდას... მაგრამ აქ ყმაწყელი მალე სულს ნობრუნებს, წელში გასწორდება და ღმირლით აუწყებს ტყალბებს: „ვერავგის მიაღწივს, ვერც მიაღწევინ... რაც უნდა მცემონ, მაქამონ — მე არი ვავბ-

დები „საპსელი“... ჩემი ვატება რუსის ვალაობებს არ შეუძლიათ. მე ქართველი ვარ და ქართველი კი ყველა, მაგრამ არ ტყდება“. და ის უცდადა ახალ წამებას, რომელსაც ასევე გმირულად იტანდა; თითქმის ყველა დარწმუნდა, რომ ლორთქიფანიძეს მახალაც ვერინ ვასტება, მაგრამ ერთხელ, განთავის კონხის მიცემა ის ჩვეულებრივ საკანში შევადეს. ლორთქიფანიძე უხშიდ, თავჩანდრული მივარდა მის საწილთან, გაიხლართა, და თავზე საბანი წაიხურა; ის მდუმარდება. პატომიანები თითხის მიცემა ვერ ვაბუტნა... თავში ყველას საზინებმა აზრმა გაუარა — რომ ამაყი ქართველი, ახალგაზრდა რანდი ჩეკამ „გასტება“. მალე მოისმა ლორთქიფანიძის ჭლებიტი საბან ქვეშ ბოლოს მან დაქროლმბივით დაიბრიადა: „ყველავგის ვავუტრლ, ყველავფირი ავიტანე და სულ უბრალოზე, ურთი ბეწოზე, სისულულეზე ვავტყდი. ვაი სირცხვილი!!!

რა იყო ეს „ქრთი ბეწო“, რამაც ქვის ვეკაცის ნება გატება? ლორთქიფანიძემ სახე სარცხილით იხვე საბნის ქვეშ დიავარა და ყოველი ამხილა: დაკითხვების და ცემის ჩვეულ საათების შემდეგ მას უბრძანეს ტანთ-გახება, დეჯოჩა და აი, ამ ხელ — ფეხ შეკრულიან თითო — თითოდ მიდიოდენ ჩეკის მობუნება და მის თავზე შარბს აქცედენ... ასეთ საშინელ დამცირებას მან ველარ გაუძღო და ბტრებას დაწება: „გატყდა“...

აი, რა მდაბალს საშუალებით ბოგრია რუსული ჩეკა ქართველ რანბს... და ასეთი ლორთქიფანიძებთ „გამოტების“ შედეგად, ხომ უამრავი ვაიგზანენ საკონცენტრაციო ბანაკებში.

ბანაკებში მივლინებულ ტყვეთა ამ შემდეგ საფებურს ვეცნობს მყოფე წიგნი მარცხილისა, რომელიც ვინმე ვინმე სულ მოყოლით შეგვრბილეთ.

ვიმობრებ: ბვერი ვესმენია და წვევითხავს ამ „ლაგერებზე“, საცა 22 მილიონი მონატყვე დრტინავს, მაგრამ მთელი სადღმბობება ამ უტნობ და უჩინარ ქალაქებისა, საცა მონები უხშიდ და მშოწი-შოწილინი მუშაობენ და იხოცებან, ძეწადე თუ ვისმეს სმენია.

„მე ვეცდები სიმშოლით კატროზაში“, სწერს ტყვე მარტოლინი. „ვეცდები ჯოჯოხეთში, რომლის შესახებ მთელს დედს-მიწაზე არავის არავითარი წარმობდენაც არა აქვს“.

ავტორი შემთხვევით ჩამავდა პოლინეთში, სწორედ იმის წინ და აქ რუსებმა პოლინეთის ოკუბაციის შემდეგ ის ხელთ იდგეს და 5 წლის

*Handwritten mark*

„გადასახლება“ მიუხაჯეს. აქედან იწყება მისი პეტროლი სხვადასხვა სამუშაო ლაგერებში.

„მე რომ ხელი ჩავადრინოდი“, სწერს ის, „ჩინელ ხუნხუზებს ანდა „ნამ-ნამის“ ზნებებს, მაინც იმედი მექნებოდა, რომ ფულთი თავის გამოვიყიდო. მაგრამ მე ჩაუფერადი ხელი უძლიერეს სახელმწიფოს, რომელსაც შიშით ახლოს არავინ ეკარებოდა, რომელმაც ააგო ათი ათასი ლაგერი და შოგ ალბოზს ხალხს მთელი ქვეყნისათვის უდიდეს საიდუმლოების ქვეშ... ჩვენ იქ აღარ ვიყავით ადამიანები ანდიდიდულობით და საკუთარ ბედით, ჩვენ ვაგვხადეს ციფრებად მასში—ერთი, როგორც მეორე, მესამე... ხოლო ერთად კი ვიყავით გაქვავებული და გაყინული ზედაპირი მიწისა, რომელზეც გადადიოდა საბჭოთა ტანკი, ვადადიდათ თავებზე და კიბრზე, ზურგზე და მუცლებზე, ვადადიოდა ადამიანთა ნამსხრევებზე, ჩვენ ჩაფლულნი და ჩაქუდილნი ვიყავით და კვედებოდა...“.

ჩვენ შენატროდით ამ ძალიან ბედს რომელსაც შეუღლო სიკვდილის წინ საკუთარი ტენტულში შემქმნაოცი და იქ ამობინოდა სული. სიკვდილს ჩინებებ, საშინელ მემუზობისაგან გამოვლული მილიონები, — რომლებიც უსასიყლოთ „ამერტენ“ საბჭოთა გიგანტებს, სურია არბებს, აერთებენ ზღვებს, ჰკავავენ ტყუებს, — არიან მხოლოდ მასალა, რომელთაც მოხმარების შემდეგ სიკვდილს გადასცემენ. აქ მილიონები წეპრობილი არიან ერთი და იმავე ავადმყოფობით: „ალქიმურტარული დისტროფიით“, რაც სიმშლით ნელ-ნელა გამოფიტებს და სიკვდილს ნიშნავს. ამ საშინელ პარობებში სხობებიან: რუსები, პოლონელები, უკრაინელები, ქართველები და სხვები მრავალნი.

ამ ლაგერებში ხდება მათი სრული დამონება სულიერი და ფიზიკური: ერთი ლეკმა ზედმეტი პურისათვის ესენი ცრუობენ, თვალთმაქცობენ, ქურდობენ, მლიქვნლობენ და აწინიარდ ხდება მათი სრული „ეწმინდობა“. რამდენიმე თვეში მათ აღარ გააჩნიათ სკუთარი პურინა, წინდა ან ფესქსცმელო... ყველაფერი ეს ან ვაყიდულო, ან ვაქურდული, აწმარად, ავტორის თქმით, მათი სრული დაშვება და „განკაცება“ ხდება. ლაგერში ცხოვრება მათ აღარ უტოვებს აქაფურს ადამიანურს.

ამ მოჩალური და ფიზიკური „განკაცების“ შედეგები განიცადა ავტორმაც. აქედან გამონაკლისად აღარ რჩებოდა.

მაგრამ ერთი გამოწკალის მისინც აღნიშნა აფ-

ტორმა და თქვენი ფული საბაყით ივსება, რაცა ტყობლობთ, რომ ამ გამოწკალის ქართველი საბჭოთა შეადგენდ.

„ლაგერიდან მე გამოვიტანე უმაღლესი პაციენტის გრძობა ქართველ ხალხისადმი“, სწერს ავტორი, „ქართველები ტყვეთა საერთო მასიდან გამოიყოფიან რაღაც განსაკუთრებულ, თანდაყოლილ თავზიანობით და ვასლოქრის სიმშვიდით. მათ იკოდენ ღირსულად თავის დატყრა, უფელ ალერ ახსნილობის და მრისხანების გარეშე, ასინი იტანდენ ყველაფერს ძველს, კულტურული რასის სიამაყით“. და ავტორს, რა გორც სამაგალითო ამხანაგი და მეგობარი მოჰყავს ლაგერის მსხვერპლი, ვინმე ჩიქოვანი, რომელიც მისთან ერთად მუშაობდა სატყეო ბრიგადაში.

„ქართველთა ყველა ეს მაღალი თვისებები“, სწერს ის, „ახსიათებდა ჩემს მეგობარს და მისს — ჩიქოვანს, ამ ერთ-ერთი ფენობ წამებულს იმ ერთსას, რომლის წველი ლაგერების მასიურ საბაფლოში, ყველაზე უფრო ძვირფასად მიუღებოდათ კავშირში...“. „ჩიქოვანს მე დავეცალოვდი“, ვანაგრძობს ავტორი, „მხოლოდ მისი სიცივლის შის ჩასვლისას. ლაგერში ის უფევი სამი წ. იოჯდა და სასჯელად მს კიდევ დარჩენილი და იმაზე მეტი წლები, რას ატანდა მას აღარ შეუძლო. ... და აღსასრულის მოახლოებამ მასში ყველაფერი დააქტრა და დაარბოლა. ჩიქოვანი იყო მხოლოდ უმარლო ქართველი, მაგრამ მასში გამჯდარი იყო თავზიანობა, ყოველდღიური წერილობითაში სულგრძელობა, და ისეთი კეთილშობილება, რომელსაც ინგლისელი ლორდი დაეხარებოდა...“.

მე მიყავდა ეს კაცი, მისთან ყოფნა, მისთან ერთად დგომა და ხერხე... ეს მიმსუფთებდა მე მწარე შრომას. ასევე მიყავრდა მოსმენა მისი საუბრებისა, რომელსაც ცოცხლებიდა შორეული, წარმტაცი ქვეყანა კავკასიის სამხრეთის... მე მხოლოდენ საქართველოს მთები და ველები, სოფლები, თეთრი სახლი მისი დედისა, იქაური მშე და ვენახების ზერები... ამასთან ბათუმის მიდამოები. ჩიქოვანის მოთხარებები ავტებდენ მთელ წიგმს... მასინ ჩვენ ორიგენი ვტარებობით სამშობლოსათვის და მხოლოდ მასზე ოცნებით ცოცხლობდით. მე ვბრდებოდი, რომ მას სამშობლოში უწახულებდი... მაგრამ ბედი სხვა გვარად დატრიალდა და ბევრი ჩამ ვაჰქრა... და ის ქართული სიტყვებიც კი, რაც მასწავლა ჩემმა მეგობარმა ჩიქოვანმა, სამ-



წუხაროდ, ჩემის მეხსიერებიდან წაიზალენ...“.  
(გვ. 155).

და საქართველოს საუკეთესო შვილმა, ძველ-  
სახის ღირსეულმა წარმომადგენელმა, შორეულ  
კარგელაში თავის ცრემლებთან, თავის ძეგლებს  
ჩაჰყარა.

ჩვენ არ ვიცით — რას აზრალბდენ და რაში  
„გასტეტეს“ ჩიქოვანი, მაგრამ კარვად ვიცით,  
რომ ის, ვით სათასი და ათათასის სხვა ქართვე-  
ლნი, ეწამა და აღესრულა სამშობლოსათვის,  
რომელსაც ერთის წუთითაც არ ვადუღდა და  
რომლის ნატურაში დალია სული. „ჩიქოვანე-  
ბით“ მოფენილია ჩუქსეთის საკონცენტრაციო  
ბანაკები, ამ თავადებულ, მაგრამ უჩინარ მა-  
მულნიჭილთა კეთილშობილი და წმიდა სულს-  
ვესი საბჭოთა ხალხებში, მარგალინის თქმით,  
საეკრძოდ და საბატო ადვილ იქცენ.. და მთ  
სცელოს ახალი წყება „ჩიქოვანთა“, რათა განუ-  
წყვეტელი ბრუნადეს საბჭოთა მანქანა. ამ გან-  
წირულ ქართველთა კვლი ანათებს ჩვენი უჩრის  
მატრინეს ახალ ფურცლებს... ჩვენ ვიცით — რომ  
ისინი საყვედურსაც აქ გვეუბნებიან, ჩვენგან  
ბევრს არ მითითებენ; მაგრამ ერთში კი უღმრ-  
ბული ჩებიან: მტრებთან შეკრებება საქართვე-  
ლოს ღირსების დათმობით, ერის „ხანჯლზე“.

არასდროს არ უნდა მოხდეს, თუნდაც კიდევ დი-  
ჯანს ვაგრძელებდეს ეს მონობა. *ჩვენ ხომ არ*  
ეს არის მათი ანდრძობა და ჩვენთვის ვაფ-  
ყეს ამის განაღდება...

\*\*

ძნელი ამ გმირების „მარტოობის და წამუ-  
ბის“ აღწერა, ძნელია მათი სახელების ჩამოთე-  
ლა, — ეს დროც დაუდგესა ჩვენს ერს, ხოლო  
მანამ კი ცალკე ვაფიქვებს ქართველ საქმისათვის  
და ჩვენითვის, — ყველასათვის წამებულ და აღ-  
სრულებულ „ჩიქოვანებს და სხვთა მრავალი“  
— მოწოდებით თავიანი ესცეთ, მათი ღაწილ, ე-  
დიდით, მათი თავდადება სამაგალითოდ ვაფ-  
ხადით.

იქნებ ჩვენი მოკრძალებითი თხოვნა გაღმრ-  
ვენილმა ქართველობამ შეიწყნაროს და წული-  
წადში ერთი, განსახლებული დღე შექსირით  
ჩვენივის პარადით უტნობთ, მაგრამ ყველაზე  
ახლობელ „ჩიქოვანთა და მრსუდელთა სხვთა“, სა-  
ქართველთა იჯარეში აღსრულებული, რომელი-  
თა საფლავი არაფერ უწყეს... ამ დღეს ვადიდით  
ყველა ესენი და სიმბოლოურად მათი სხობნას  
წმიდა ლამპარი დავუთნით — „წმიდა იყვენ სა-  
ხელი თქვენი“ ლოცვით და დიდებით...

კახაბერი.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა

1907 წ. 30 აგვისტოს, ქართველი ხალხის ნა-  
ძირალბების ტყვიით მოკლულ იქნა ვანთქმული  
საზოგადო მოღვაწე, ვანთქმული მწერალი და  
პოეტო ილია ჭავჭავაძე.

ამ საზიზარმა მკვლელობამ საერთო აღშფო-  
თება და განუზომელი მწუხარება გამოიწვია  
მთელ ქართველობაში. საქართველოს ყველა კუ-  
თხიდან, განურჩევლად პარტიათა, ვჯვეფთა და  
პაროვნებათა, აუარებელი ქართველობა გასულ-  
თა თვლისისაყენ, რომ გამოთხოვებოდენ ძე-  
რვას ცეცდარს.

ილიას ტრაგედია მუშმარტად უროვნული  
ხასიათი მიიღო. სხუადსსგვა პარტიების წარმო-  
მადგენელი თავიანთ სიტყვაში უზომო მწუხარ-  
ებებით ადნიშნავდენ დიდებულ ქართველის  
ასე ტრაგიკულად დაღუბვას. სოციალ-დემოკ-  
რატული პარტიის დაუკლებით წარმოთქმულ  
სიტყვაში კარლო ჩხეიძემ მრისხანეთ მოითხოვა  
ამ საზიზარო მკვლელობის დაუყენებლივ გა-  
მოკრევეა. საზოგადოებრივი აზრი იმდენად აღ-  
შფოთებული იყო, რომ მოწოდებაც კი აქ იყო

საქრო, — ყველა ეძებდა მკვლელობის მოტივს  
და მის მეთაურებს.

საერთო აღშფოთებით შემფოთებული მეფის  
მთავრობა სწრაფად შეუდგა მკვლელობის გა-  
მოძიებას. აფორიაქებული საზოგადოებრივი გრ-  
ძნობის გამოყენებას ეცეცადენ სხუადსგვა ხასის  
ბნელი ძალები და ჩააწეთეს მას, რომ მკვლე-  
ლობა მოწყობილია სოც-დემ. მიუქ და რომ  
მკვლელებიც მათში უნდა ვეძოთო.

საუდან გამოვიდა ეს საშინელი კოლნსამება?  
ვინ იყო ამის პირველი აგტორი? გამოჩნდენ ის-  
ეთებიც, რომ ეს საზიზარო კოლნსამება თი-  
თქის დაიკერეს და თომცა აშკარათ ვერა, მა-  
გრამ აქა-იქ ჩუჩილული იმეორებდენ და ასაბუ-  
თებდენ კიდევ: სოც-დემ. ეწეოდა ხანგაძლივ  
კამათს ილიას წინააღმდეგ; ის მუშაობს გლეხე-  
ბთა შორის და აგრარულ ნიადაგზე ამხედრებს  
გლეხობას მემამულეების წინააღმდეგ; ილიაც  
იყო მიმდებელი, ამიტომ რა გასაკვიროს თუ ეს  
მათ ჩაიბედნისო.

სოც-დემოკრატული პარტია ისე, როგორც



სხვები, მეტად იყვენ დაინტერესებული ამ მხეცური მკვლელობის ყოველმხრივად გამოკვლევაში, ამ მიზნით მან დაავალა საქმის გამოძიება გომის მასრაში მტკობრეც ყველაგან პატიუტემულ სოც.-დენ. კლასს კ. ტატოშვილს. ტატოშვილის ფართე კვლევა-ძიებები გამოიჩინა ორი ახალი რამ: ერთი ისა, რომ მკვლელობის მთავარი მომქმედი პირია ვინმე გიგლა ბერბიჭაშვილი, რომელიც არც დატყვევია და არც დამნაშავეთა საში ირიცხება. ტატოშვილმა ვერ შესძლო მისი ნახვა და ვერც გაავრ სად იმყოფებოდა; მეორე ისა, რომ მკვლელობასთან ძალიან ახლო კავშირი აქვს ილიას მოურავს ვინმე დიმიტრი ჯაშს.

როგორი მონხა ეს ჯაშს ილიას მოურავად? ამ საკანზე ამ რამოდენიმე წლის წინეთ „კომუნისტ“-ში გამოქვეყნდა ბ. ა. ალექსის წერილი, სადაც ის გადმოგვცემს რომ იმ ეზოში სადაც ის ცხოვრობდა—ცხოვრობდა და ჯაშსიც მან იცოდა რომ მე ოჯახობით ახლო ვაწყობილებდაში ფიყავი ილიასთან და მის ოჯახთან. ამით ესარგება მას და ჩემი ცოლისათვის ცუბივნა დახმარება ილიასთან — აეყვანა ის მოურავად. ჩემი ცოლი მიგლაპარაკა ილიას მკვლელებს, ილიას ამ დროს სწორედ სჭირდებოდა მოურავი, ის დათანხმდა, აიყვანა ჯაშს მოურავად და ის კიდევაც წაყვდა საგურამოში.

მართლა ჯაშსის მიერ იყო მოწყობილი ეს საზოზიანი მკვლელობა? და თუ იყო — რა მოტივით და ესი დაავალბით?

მიუხედავად იმისა, რომ საგურამოს გლეხობა მკვლელობის მეთაურად ჯაშს ასახლებდა—ის არც დაუტყვიათ და არც დაუკითხავი; მოწმეთაც კი აქი დაუბარებიათ სასამართლოში და ეს მაშინ, როცა იგივე პოლიცია ჭურთაშიც კი ეძებდა მკვლელს და ხეთი - ცქები ლდანაშაული პირი დაუკირეს კიდევ. დაბოლოს დაიჭირეს რამდენიმე პირს საგურამოში, გაასამართლეს, გადაუწყვიტეს სკედილით დასჯა და ვანაჩერიც სისრულეში მოიყვანეს.

დამნაშავეთა სრული იზოლიაცა, თვით გასამართლება დახურული კარებში ისე, რომ საზოგადოება ვერც ბრალდებულთა და ვერც მოწმეთა ჩვენებას ვერ გაცენო — ამჟამად ხელიდა სასამართლოს უცნაურობა. მოსჩინდა რომ ვინცა დიდათ იყო დაინტერესებული ამ საშინელი მკვლელობის შესახებ სინამდვილე არ გამოაშკარავებელიყო. სასამართლოს განაჩენით დასრულდა მკვლელობის იფიციალური მხარი. მა-

გრამ საზოგადოებრივ წრეებს ეს ვერ დაეკმაყოფილება, რასაკვირველია, და მათ არაერთხელ სკადეს სინამდვილის აღდგენა, მარა უშედეგით. გადაჩინული მკვლელობისას ახალი დანავალი ვერაინ ვაიყო, სხვა მონაწილე ცოცხალი აღარაინ იყო, სასამართლოს ყველა მასალემა ცხრა-კლიტულში ინახებოდა, ჯაშს თავი უზნებით მოქონდა, თუმცა საზოგადოების ეჭვი და ზიზი თან სდევდა. ასე გაგრძელდა თებერვლის რევოლუციამდე, როცა მთავრობის და მისი „ოხსანის“ არქივი რევოლუციონერების ხელში გადამოვიდა, ამ არქივში აღმოჩნდა ჯაშსუშეების სია, რომელთა შორის თვალ-საჩინო ადგილზე იყო ილიას მოურავი დიმიტრი ჯაშსი. ჯაშსი იმ დროს მიაშალა; ხოლო შემდეგ 1922 წელს, როგორც ვაგდომოვცემს, ის მოუკლავს შემთხვევით ვასროლილ ტყვიას.

ახლა ვავეცნოთ თუ რა მსვლელობა მიუღია ამ საქმეს საბჭოთა საქართველოში.

1941 წლის ბოლოს, საბჭოთა მეცნიერებს „საარქივო ფონდ“-ში, აღმოუჩინათ დღემდე უცნობი საბუთები ილიას მკვლელობის ვასახუცით. ამ საბუთების თანახმად, 1941 წ. 25 დეკემბერს, თფილისში შესდგა უმაღლესი სასამართლის სხდომა ილიას მკვლელობის საქმის ვასარჩევად. საქმის ვარჩევა ვაგრძელდა 1952 წ. 5 იანვრამდე. ამ პრიცეპის შესახებ ერეკლე ანგარიაშა მითავსებული 1953 წ. სექტემბრის 6, ვახუთ „კომუნისტ“-ში (№ 221), სიდიანც ჩვენ ვასარგებლობთ.

ამ საბუთების მიხედვით აღმოჩინელ იქნა ხეით ნახსენები ლმთავრისი დამნაშავე გიორგი, იგივე გიგლა, ბერბიჭაშვილი. ის შეიპყრეს და მისცეს პასუხისგებაში.

ვინ არის ეს ბერბიჭაშვილი და სად იყოფებოდა იგი დღემდე?

მოწმეთა დაკითხვიდან ვამოიჩქვა, რომ ის ქურდობისათვის ვაძევებული იყო სოფლიდან, რის ვამო დიდხანს წაწალებდა ახატნის ტყეში მკვლელობის; მკვლელობის შემდეგ კი მისივე ვადმოცემით, საეგვი ვზით, ვაქცილდა საბახეთში, დაბრუნებულა საქართველოში 1921 წელს და წითელი პარტიზანის საბუთებით მსახურებად დღეუთის მასრაში.

უი მისი ჩვენება:

„ავისტომა — ამბობს ის — საგურამოს ტყეში, ილიას სახლის მახლობლად, დიმიტრი ჯაშსის წინადადებით ვადავსწყვიტეთ ილიას მო-



კვლა. ილიას მეტელე ლაბაური შეგვიბრდა გვა-  
ცნობებდა ილიას ჩამიხვლის დღეს, მეორე დღეს  
ისევე ამოვიდა ტყეში ჯავში, მას თან ახლდა ინაშ-  
ვილა (ყოფილი მამასახლისი) და გვაცნობდა, რომ  
ილია იმავე დღეს მოვიდოდა. შემდეგ აღწერს თუ  
როგორ ესწრებოდა, როგორც ვაძარცვეს და რა ნი-  
ვთები წაიღო, დიმიტრი ჯავშის ძმამ, უშნავი ჯა-  
შმა, მოუთხორო სასამართლოს მისი ძმის, დიმიტ-  
რის ბოროტ-მოქმედებათა ცრქული ისტორია. მან  
განაცხადა, რომ 1917 წელს, ის თვითონ დაესწრო  
ყანდაჩნთა განყოფილების მასალებზე საჯარო  
გამოქვეყნებას მისი ძმის ჯავშუშობის შესახებ.  
მოწმე ყ. ფალავან (ღუშეთის მაზრის ყოფილი  
უფროსი) ილიაპარაკა თუ რა გზით დადასტურა  
მან ჯავშის მკითაურთა ილიას მკვლელობაში,  
ჩინებდა ის მთავრობამ თანამედრობიდან გა-  
დააყენა. მან ისევ აცნობდა სასამართლოს, რომ  
როცა მკვლელთა ვასამართლების პროცესზე,  
ერთმა დეტალმა განაცხადა — საბრძოლველო  
სამაშვე ვერ ვხედავ მთავარ დამნაშავე ჯავშსო  
— ის მაშინვე მიხიბო სასამართლოს თავმჯდო-  
მარემ და ისე დატყუა, რომ ამის შემდეგ ჯა-  
შმა გვაჩი ირთილავ აჩი ყოფილა სტენგულითა  
მოწმეთ იყო მოწვეული აგრეთვე წვეთი ნახს-  
ნები ე. ტატიშვილი, სომეხობა ერცლად მოუ-

თხორო სასამართლოს თავის კვლევა - ძიების შე-  
სახებ და დასძინა სომ იმ თავითვე აშკარა იყო,  
რომ ამ ბოროტ-მოქმედებაში მთავრობის ხელი  
ერთაო. მრავალ სხვა მოწმეთა დაკითხვამ მილი-  
ანად აღადგინა მკვლელობის ნამდვილი სურა-  
თი.

სასამართლოს სხდომა იყო ღია, მას ესწრებო-  
და ქართველი მწერლობისა და მეცნიერების  
მრავალი წარმომადგენელი.

სასამართლომ ბრძანაშვილი დამნაშავეთ  
ცნო და მიუსჯა მას სიკვდილით დასჯა ჭინ-  
ბის კონფესკაციით.

ამ ეურავული მკვლელობით, ცხადია, მეციხ  
მთავრობას სურდა ერთის მხრით ფინიკურის  
სიკვდილით მემორიათა ეველაზე პაბულა-  
რული მლოგაწე, ხოლო მეორე მხრით — ეს სა-  
ზიზარო მკვლელობა თავზე მოეხეთა ჩვეული-  
უცონდური მეთათრობათვის და მით ქარ-  
ველ ხალხში მისთვის სახელი გაეცხა და მისი  
ფულედა დაეცა

ეს პროცესი დაწერალებით და მრავალი სა-  
ბუთების თანდათოთი უცვე გამოსულა თფი-  
ლისში ცალკე წიგნად სახელწოდებით: „წიწა-  
მურის ტრადია“...

გრ. ურატაძე.

### ქ ა რ თ ე ლ ი ქ ა ლ ი ჩ ე ნ ს მ ა ტ ი ა ნ ე შ ი

(დასასრული\*)

თამარის სამეფოს ძლიერება საქართველო  
გარდაც იყო ცნობილი; მასვე მიაწერენ ტრა-  
პიზონის იმპერიის დაარსებაში განსაკუთრებულ  
ღვაწლს. თამარის „ოქტის ხანის“ გაუღწნას  
თუ მიწერება ის უპირატესობანი, რითაც ქარ-  
თელლები სარგებლობდნენ იერუსალიმში შეს-  
ვლისას; როცა ქართველები სალოცავად აღდ-  
ოდნენ, ისინი ვევიტეტეს სულთანს არავითარ  
ხარკს აჩი უხდიდნენ. მოგზაურობის დროს ის-  
ინი სხედან ერთკუზიან იჭულხედ და ფეხმარე  
ცხენებზედ; იუჩესალაშიშ, შესვლის დროს მათ  
გაშლილი აქეთ ალამი. გზავრობისას დღაეა-  
ციკა და მამაკაცი შეიარაღებულნი არიან. ქა-  
რთელ დღაეაკეთ თავზე ქეღბი ზურჯათ...  
თათქების დღაეაკეც ძლიერ ყზნირდათ იმა-  
ნო! სწერს ბართლომე დე სალინი. მეორე  
მწერალი ამბობს, რომ „ქართველნი ძალიან მა-  
მაცი არიან; მათი ქალები ისე შეჩვეული არიან  
ლაშქრობას, რომ მტერთა ცხენდაცხენ უხტები-  
ანო“.

ჩვენი ხალხური პოეზია ხომ ასე უხვად ასხამს  
ხოტბას თამარის სახელს და ეჭი უყვდათა პა-  
ნთონში მას პირველ ადგილს მიაკეთებენს. გერ-  
მანელი მეცნიერი პოლდაკი ქეშარიტად ამბობს,  
რომ თამარში მეფური პიროვნება გაღმერთე-  
ბულია რელიგიური მისტიკიზმადღო და მართ-  
ლად თამარ მეფე ხომ წმიდანად იქნა აღი-  
არებული ქართული ეკლესიის მიერ.

თამარის შემდეგ, როგორც ვიცით, ტახტი გი-  
ორგი ლაშაზე გადავიდა, ხოლო მის შემდგომ კი  
ისევე ქალი გამეფდა. ლაშა გიორგიმ ტახტი თვის  
დას რუსულად უხადერძა.

„მამონ“, ამბობს მატნანე, „ეთარაკა ენა აღ-  
სასაჟული თფილი მეფემან ლაშა, ბავანეშ მეო-  
ფმან, მოუწოდა წაჩინებულთა სამეფოსა თფი-  
სათა, შეეღწრა დაი თვისი რუსულან, ცრემლი-  
თა მამდინარეშან: „შეხედებთთა ლეთისათა მო-  
გითვალავ დასა ჩემსა რუსულანს, რათაა შემდგ-  
ომად ჩემსა მხედვე ჰყოთ, ვითაჩი არს ჩვეულე-  
ბა ნათესავისა თქვენისა ერთგულობით მინებ-

\*) იხ. დასაწყისი „მებ. საქ.“ № 14-15.



ლით, და სიმბინთა თქვენითა დაიკავით ტახტი მეფისა მტერთაგან უფებლად. დაღათა არა მამაკაცი არს, არამედ დედაკაცი, არა აკლია სიბრძნესა და სიბეფოსა საქმისა ცნობასა...“.

ამ დღედგაღეს მართლაც არ აყლდა „სიბრძნე და ცოდნა სამეფო საქმეთა“, მაგრამ ესაა მას და მისს ქვეყანას ბუდნი არა სწავლობდა. დაიწყო ხანა მონგოლთა გრძელ და მძიმე შტამიტევა - ბატონობისა. მაგრამ ამის უწინარეს თვით ამ მონგოლთაგან დღენილი ჯალაღლედონი დიდძალს ჯვარებით საქართველოში შემოიჭრა და ქვეყანა ააოხრა. ამის შემდეგ სულთანებმა ხეჯარახშიისა და იკონიისამ საქართველოს დამორჩილება მოიხდომეს. შევიწროებულმა რუსულდამმა 1233 წ. რომის პაპს, გიორგი მეცხრეს მიმართა და შემწეობა სთხოვე; სამაგიეროდ თვითონაც აღუთქვა დახმარება ქართულის ჯვარებით ჯვარისათა ომების საწარმოებლად. მაგრამ აქედან არა გამოვიდა რა, და მონგოლთა შემოჭრის შემდეგ რუსულადი იძულებული გახდა იმერეთში გახიზნულიყო...

აქც რუსულდანის ასული, სახელივან ბუბის სახელს რომ ატარებდა, ყოფილა უწინფხელი პიროვნება. ის ცხოვრობდა მეცხრეტე საუკუნის შუა ათეულში და იყო გათხოვილი რუმის, ანუ იკენიუმის სელჯუკიან სულთანზე ყაიხედნა ქიხილარზე; ეს უკანასკნელი დღათა აფაგებდა ამ შესანიშნავ, ფრად წარჩინებულ ქალს. მან მოძალურეა ამ თვისი სათაყვენო ქალის სახე ფურლებზე ამოეჭრეცინებინა, ხოლო მახმადანთა კანონით ეს შეუძლებლად ჩასთავლეს; ბოლოს სულთან იმით დაემაყოფილა, რომ დირხმეზუნდ ამ მანდილოსანს პიროსკიანი ამოაჭრეცინა — მზე და ლომი. ამ სულთანის ცოლი გახდათ საქართვეოს დედოფლის, რუსულდანის ასული თამარ. (იხ. ზ. ავალიშვილის „ვეფხ. ტყაოსნის საკითხები“).

როგორც ვიცით, ძველად ქრისტიანობის დაცვა, სამშობლოს დაცვა ნიშნავდა. ქართველთა გამახმადანებებს წინააღმდეგ ბრძოლს იყო ნამდვილი, ნაციონალური სიქმე და ჩვენი ვილს ამ საქმისთვის თავდადებულ ქალები მოვიხსენიოთ.

სამცხეთაათაბაგოს გამახმადანებებს დიდ ხანს და თავდადებით ებრძოდა იქაური ქართველობა, მაგრამ მან ოსმალთა ეს ძლიერი მოწოლა ვეღარ შეაჩერა; დროთა განმავლობაში ათაბაგუბი საყვედრო დაემორჩილენ სულთანს; და საკუთარ მდგომარეობის და გავლენის შესანარჩუნებლად თვის ძმებს, ქრისტიანებს, დევნა დაიწყეს. დაღდა ნიმიე დრო. უძველესი ტაძრები და მონასტრები, უღდესი განძი ქართული კულტურისა ირღვეოდა და იწოლებოდა. ჩვენი მატანე ამბობს: „ახალციხის ფაშა მოიძულეობდა ქრისტიანობასა და შესძინებდა მახმადანთა და აღმოფხვრებოდნენ წესნი და ჩვენი ქრისტიანობისანი ყოველივე და შეცმატებოდნენ მახმადან...“.

ბოლოს ეს გახდა ქრთულ ნაციონალურ დევნად; ოსმალნი მხაკურთლის ხერხით: ხან მოსყიდვით, უფრო კი ტლანქის ძალადობით იბირებდნენ ქართველ წარჩინებულთ; ბოლოს უბრალო ხალხს არა დაშენებოდა რა, ვარდა იმისა, რომ ამ ძალადობამ დამორჩილებოდა და თვითონაც განდევარიყო და გამახმადანებულებიყო; მეთათრთა ვახს იგი უნდა ნებით გაეყოლიდა, ვიდრე ყველაფერზე ხელს ადლებინებდნენ და ოჯახს დოღლათს გაურთავებდნენ. ამ დიდ და ტლანქ დაწოლას გაძლება უნდოდა, — ხალხისათვის სიმტკიცის მაგალითის ჩვენება... და აი, აქ ქართველმა მოწინავე ქალებმა დიდი უროვნული მხნეობა და სიმტკიცე გამოიჩინეს: ქალნი დიდხანს და ნეკრიულად ებრძოდნენ თურქ-მახმადანთბის გაუღერის გაერქლებას; სულთანს კარვად ესმოდა, რომ საათაბაგოს მახმადან ჩივილებდს ხელში, ვიდრე იქტერ ქართულ ოჯახს არ მოსოლიდა, ესე იგი ვიდრე ქართველ ქალს არ დაამარცხებდა; და ისიც დიდის უნერვით მოეკიდა ამ ანოკანის შესრულებას, მაგრამ ასეთსავე მდგარ წინააღმდეგობას დაეცახა. — „გარანა“, ამბობს მატანე, „თქმეცა წარჩინებულნი მახმადანნი იყენენ, არამედ ცოდნი მაინი და მხედვანი იყენენ ყოველთა ქრისტიანნი; ხოლო ექამა როსტომ ფაშისასა მოღვლიონა ხინთქარვა ბრძნება, რათა იქმენენ კოპლნიც მათი, როზელნიცა მახმადან არანა, მახმადანად; ესე უთხრეს ცოლსა როსტომ ფაშისასა, ხოლო მან არა ინება, არამედ აიძულებდნენ ყოფად მახმადანად და ამისათვის დაიანიშნა მრავალი ტანჯვანი მერმე განიღებო, რათა გარდაღებოს თავი კლდესა ზედა. სენცა ესე შეიპყრეს და არა უტყვეს, კვლად ინება მომხოვმა თავისა თვისისა...“.

ოსმალთმა მრავალ დღენათა შემდეგმ ქართველ ქალთა წინააღმდეგობას სძლია და აი, აქედან იწყება საყრდენი ქართველთა ზართულის თავაშეშეშე დღენა... მტკიცე ხორღ ქართულ ოჯახთა და ქართველ ქალთა მოლია-

ოსმალთმა მრავალ დღენათა შემდეგმ ქართველ ქალთა წინააღმდეგობას სძლია და აი, აქედან იწყება საყრდენი ქართველთა ზართულის თავაშეშეშე დღენა... მტკიცე ხორღ ქართულ ოჯახთა და ქართველ ქალთა მოლია-




ნად გაურღვი მამამადინაორ ტალოსა და მტკრი იმარჯვებდა. „... უმეტესადრე“, ამბობს „ქართ. ცხოვ.“ „მოიხრდნენ ეკლესიანი დიდ მშენი-  
 ერნი და იქმნებოდენ პირუტყეთა სადგურ და  
 ივლტოდან კვალადცა, რომელთა არა ინებეს  
 მამადინაბა ქართლს, იმერეთს, ოდიშა, გური-  
 ას, კახეთს და წარაქმნათა ხატისა და ჯვარნი“  
 და სავ. „და შეიქმნა“, განაუჭობს მატანე,  
 „სრულიად მამადინაბა წესითა და რჯულთ-  
 თა მათითა და აღმწებოდან მჭითნი; არა-  
 მდღე დაშონენ გლუხნი და ივირცა უმწყემსნი,  
 ვითათარცა პირუტყენი...“.

ამ ქართველთაგან, რომელნიც „ივლტოდნენ“  
 ქართლ-კახეთისა და იმერეთისაკენ და თან მო-  
 ჰქონდათ ვადაშალული საეკლესიო განძობული-  
 მანი და ძველი ქართველი წიგნები, პირველინი  
 გახლდნენ ქალუბი, რომელთაც ქრისტიანობა და  
 ქართველობა არ დასთმეს და ლტოლვილობაში  
 ყოფნა არჩიეს.

ამ ნეტარსწენებულ ქალთა გუნდის სათავეში,  
 სამშობლოსა და ქრისტიანობისათვის რომ ეწა-  
 მენ და აღესრულენ ქეთევან დედოფალი სიდას;  
 კახეთის დედოფალი ქეთევან, დედა თეიმურაზ  
 პირველისა, ყოვლის მზრე მხენ და შესანიშნე  
 პირველი დედა და დედოფალი იყო, რომელ-  
 ლიც შრისხანე შახაბაძის მექარას არ შეუშინ-  
 და — სამშობლოზე და ერის საწაწმენებაზე  
 ხელი არ აიღო და ქვეყანას შეურყეველ სიმ-  
 ტკიცოს მავალითი უჩვენა. შახაბაძის შვილის-  
 შვილები, სპარსეთში ქეთევანს რომ ახლდნენ,  
 ამ გაუტყებელ ქალის მორალურ დასასჯელად,  
 გაასპურეს, რის შემდგომ პირველი — ალექ-  
 სანდრე მალე მოკვდა, ხოლო მეორე — ლევან-  
 ნი, ვაგიფთა; დედოფალი ბიკი კლდესავით იდ-  
 ვა და ბოლოს შირაზის ციხეში, მრავალ წამება-  
 თა შემდეგ სული დალია; ეწამა მკარამ ერს არ  
 ვადუღავ. პირველ დედავალე რომელიც ქარ-  
 თელი ქალის თაყვანის მცემელი იყო და რომე-  
 ლმაც ქართველი ქალის მშენიერებას და სუ-  
 ლიერ სიმდიდრეს ხოტბა შეესხა, (იხ. გოტეს  
 „დივანი“), ეს დედავალე შეიქმნა მოგვიანდელ-  
 დამ დედოფლის ურყევე სიმტკიცით, მიუხე-  
 დავლ ხანგრძლივი დევნისა, ცემა-გეთმისა და  
 ნარი წამებათა. გამხეცებულმა შახმა 22 სექტ.  
 1624 წ. ის მოაკვლევინა და „სიკვდილს შეხე-  
 და იგი მხედ, ვითარცა უღიღებულესი მოწი-  
 მით“ დასძინა. 3 თვევანე ქართულმა ეკლეს-  
 სიამ დედოფალი ქეთევან წამებულნი წმინდა-  
 ბში ჩაიხიება.

შესანიშნევე ქალი იყო აგრეთვე დედა ურე-  
 ვლე მფხისა — თამარი, ასული მეფე ვახტანგ მე-  
 ექვსესი. ამ თამარზე „ქართ. ცხოვ.“ ანბობს, რომ  
 ის იყო სადღური კეთილისა და სუენვე სთინო-  
 ებისა“. აი, ამ ქალმა დიდი სამსახური გაუწის  
 სამეფოს და მრავალჯერ ააღიარა მას რისთვის  
 და შურისძიების მხელილი ნაღირა შახისა. როცა  
 მავალითად 1739 წ. ნადირი დაღესტანში იდგა  
 და ომს აწარმოებდა, იმის ჯარს დიდი სურსათ-  
 სანოვანე სჭირდა და ამ ჯარის უახლოესი ზურ-  
 რი ხომ კახეთი იყო. ამის გამო ხალხის ისევად  
 მძიმე ბევარას, ახალი და უფრო მძიმე ემატე-  
 ბოდა — კახეთი გაჩანავდა, წელში გაწყდა. ამ-  
 იტომ წარჩინებულთა ერთი ნაწილი გადაეა —  
 ნადირის ბრძანებას აღარ ემორჩილებოდა. შახ-  
 მა — წინად მოვიჭრებულნი მხაკვლილი ვეგმა  
 კახეთის სრულად აყარა და სპარსეთში გადა-  
 სახლებდაზე — ეხლა დროულად სცნით — საქ-  
 ვითველის უღიდესი რისხევა უნდა დასტეხიდა.  
 და აი, ამ დროს სამშობლო თამარმა იხსნა: მან  
 დესანბნა იკისრა, გამოაჩინა წარჩინებულ ქა-  
 ლები და ნადირ შახს ეხალა; მან ხალხის გან-  
 დომის ნადილი მიზეზი აუხსნა შახს და მე-  
 დისა და ერის ერთგულებაში დააჩქუნა. მ-  
 დიობა თამარის დესანბნა შეიწყნარა, მას დი-  
 დი წყალობანი მისცა და გამოისტუმრა. ასე  
 ააცივინა აშხანად დედოფალმა ქვეყანა შახის  
 რისხვა. თამარისავე გამკრახობას და სიბრძნის  
 უნდა მივაწეროთ, რომ შახ ნადირი ნებას და-  
 ჰყვა თეიმურაზის წადილს და ის ჯერ კახეთში,  
 და შემდეგ ქართლში გაამეფა. ისტორიკოსი  
 ბუტკეივი ადასტურებს ამ ცნობას და ამბობს,  
 რომ თამარის „შეკმდეგობითი მხიბლა, რომ  
 შახმა თეიმურაზში კახეთის მხედრე დაატყე-  
 და მას შეუერთა ქართლის ნაწილებიდან არა-  
 ვის პროვინცია, შემდეგ მასვე მისცა ბორჩალო  
 და ქიხოი; ქართლი კი ნადირმა ალექსანდრე  
 ბაგრატიონს გადასცა; მავანამ შემდეგ მას თურ-  
 ქთა ერთგულება შესწავლა და ისე ჩამორთვა;  
 —აი, ამ მდევამაქოვობით მიხერხებულად ისარ-  
 ვებლა თამარმა და ქართლის ტახტი თითონ  
 ჩაიგდო ხელთათ. მისი მავან იყო — როგორმე  
 ქართლი და კახეთი შეერთებინა და ბაგრატიონ-  
 ნთა ორი შტოს ბრძოლა — ქვეყანას რომ ასე  
 ასუსტებდა, — მოესპო. ეს შეერთება ქართლ-  
 კახეთისა დედოფალს დიდნი საფრთხილი და  
 მიხერხებუთი უნდა ჩაეტარებინა, რადგან ამის სა-  
 წინააღმდეგო ძალეტი ფრიად მოკარბებულნი  
 იყი: ჯერ ერთი — ქართლის ბაგრატიონები





თვის უფლებას არა სთმობდნენ, შეძლებ თვით შახიც ზომ წინააღმდეგი იყო ამ გაეროიანებულსა, რადგან ეს სამეფოს გააძლიერებდა; ამას ზედ ერთვოდა ქართლის დიდ ფეოდალს—გვი ამილახვარის განდგომა ბაქარ მეფის სასარგებლოდ...

ეს გვი თურქებს იწვევდა მომხრედ და ამით თეიმურაზის დამარცხებას ლაშობდა. თურქებმა მართლაც დაიკავეს რუსეთი და აბორუდნენ სურამის ციხეში შესვლას და იქ გვი ამილახვართან შეერთებას. სურამის ციხეში გამაგრებული გვი ვერაფრით ექვს მოსტეხა თეიმურაზს, თუმცა ციხის ნაწილის აფეთქება კი შესძლო... ბოლოს მდგომარეობა ისეთ თამარს იხსნა. გვი დასთანხმდა მხოლოდ თამართან მონაპარაკებას და მოითხოვა თეიმურაზისაგან — წარეგზავნა მასთან დესპანად დედა თვისი. თამარმა იკისრა ეს შეუძლებლობა და ბოლოს შესძლო დაერწმუნებინა გვი, რომ წინააღმდეგობის დაწვევა ქვეყანას დაღუპვად და რომ არც ქართლის ბაგრატიონებს, (რომელთა უკანასკნელ მეფის ასული თვით იყო), და არც მათ მომხრეს — ამილახვარს, შიში არ უნდა ჰქონდა, რომ თეიმურაზი ქართლის სამეფოს მოსპობს; თამარმა ეს დაარწმუნა, რომ თვითონ იკისრებდა დედოფლობას და მმართველობას ქართლისა, ვითარცა ასული ვახტანგ მეფისა. გვი დასთანხმდა, ცხებ გადასცა და თვითონ კი თამარსა და თეიმურაზის რჩევით ნადირ შახს უბოძა.

თამარმა მართლაც შესძლო მისხანზე შახი დაერწმუნებინა, რომ ქვეყნის დასამშვიდებლად უმჯობესი იქნებოდა მისი დემტკიცება ქართლის დედოფლად ის ვახტანგის ძეგლის მმართველი და ამნაირად ვანახორციელა თვისი დიდი პოლიტიკური მიზანი: დემტკიცებოდა შემეზადებინა ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანება, ამ რთულ პირობებში თამარმა ნადირ შახი გადაიბირა და ქართლის ზვიად ფეოდალთა ფეოლიც მოიგო. ნამდვილად კი ქართლი კახეთს მჭიდროდ გადაბა და ორთვეს ბატონად თვისი ქმარი, თეიმურაზ მეორე დასვა; ხოლო მისა სახელოვანმა ძემ, დიდმა ერცყედმ დიდის მაღალი, მამულიწვილიური ზრახვა სრულად განახორციელა და ქართლ - კახეთი თვისი გვირგვინის ქვეშ მტკიცედ გაუერთიანა...

ამ შესახებ შევსება ქართველ ქალთა დანას, ჩვენი მატანე რომ ასე მომხიბლავდ ავიწერეს, კიდევ სხვანო, მრავალნი უმშენებენ გვერდს, მაგრამ

ელა ჩვენ ამათვე ვერ შეგვირდებოთ. ვიტყვი კი, რომ ამ წარჩინებულ ქალბთან ერთად, ჩვენი ისტორია ხშირად უბრალო ხალხიდან გამოსულ ქალთაც იხსენიებს, რომელნიც სამშობლოს სამსახურისათვის შესაფერ წარჩინებას იღებდნენ. ხშირად ეს გლეხთა ქალები უდგნენ ვეზირად, ვით შეუწყველი კლდე და უხსავდნენ ერს უნას, სარწმუნოებას, ტრადიციას და კულტურას. ესენი სწირავდნენ ქვებს, შეილენს, ძმებს და ამით ქვეყნისა და მეფისადმი ერთგულებას ბოლომდე ინახავდნენ. რით შესაძლებდნენ მეფენი, ამ წარჩინებულნი მრავალ რიცხოვან უცხო ძალებს გამკლავებას და ქვეყნის გადარჩენას — ამ მდაბლი ხალხს მთელი თვისი მატერიალური შესაძლებლობა და საკუთარი თავი მსტყვებდა რომ ამ მიუტანათ... მავალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა; დედასახელოთა მატანედან მხოლოდ ოროდ: სემონ მეფე, ერთ-ერთი ლაშქარიდან დამარცხებულნი, უფუ იტყვი; გზად ის ისვენებდა ზოგ მხლებლებითერთი თავს შეიფარებს ერთი გლეხის დედაკაცს — ქელოვიძის ოჯახში; ქალმა სტუმრის ენაობა არ იცის და სემონს ეციხება პირველად მეფის ამბებს და შემდგომ თვისი ქმარისა და შეილენის ენაობას, რომელნიც ბრძოლის ველზედ იმყოფებოდნენ; მეფე, რომელიც ამ გლეხის ქალს თვის ენაობას უმაღლეს, უმაღლესებს, რომ მისი ქმარ-შვილისა არა იცის რა, ხოლო მეფე კი უნებუნად ვადღერა მტერსა; ამისე დედაკაცი მის მიუტანს: „რადგან მეფე კი ცოცხალი ვადაჩრქნა მტერსა, იყენენ მისთვის სანაცმოლოდ შეილიცა და ქმარიცა. მთავარი იყო — ეს თვისი წინამძღოლი და სარდალი, ხოლო სახელმწიფოს მისი მმართველი ამ დაჰკარგოდა და ამას მომავალ ბრძოლათათვის ერთი კვლავ დაერახა. მეფე ასეთმა ერთგულემ ბამ ფიად განახნევა, მან ეს გლეხის ქალი დასახურქა და „ამირად“ დასმობს შემპატონეს, „ახსაურ იქნა იგი, რომელ აწეცა არა მტერი ეძინო“.

შეიძვე მავალითი: თეიმურაზ სპარსეთიდან კახეთს ბრუნდება, რათა გრემში მის სახელოვან დღეს, დიდოვალ ქეთევანს ეახლოს; აქ მათ უნდა განაგრძონ მძიმე ბრძოლა სამშობლოს დასახსნელად, ამ უთანასწორო ბრძოლაში ძლიერი და მრანენე შახაბაზის წინააღმდეგ, კახეთი უდიდესი მხედრბაღს ვალებს სწირავს; უნდა ყველა ძალები უნდა გაერთიანდეს, ყველამ კონდა მოწყობებოდა; თავი დასლო, რათა მტერი

დაინახოს რომ ქვეყნის აობრებას მას ძვირად დაუჯდნენ; თეიმურაზმა კიხოზე ვაიარა, საცა ის ერთმა გლეხმა ისტურმა და აქ, ამ გლეხის ოჯახის ბურჯებმა, გლეხის რძილებმა, მეფეს, ცხრა ბაღლი უძღვნეს, ჯერ ყველანი ჩვილი, აცნაში მწილი; ეს იყო სიმბოლოური შეწირულება დედებისგან ერის სახსნელად მიღწეული, დაიწყო კახეთმა უსწორო ბაძილა შახ-აბაზის წინააღმდეგ და აქ თეიმურაზს გვერდით უდგნენ და სამშობლოს მხნედ ეწირებოდნენ იმ-ვე გლეხის შვილები.

ქართული მატანენ, როგორც ესთქეთ, მრავალ სხვა შესანიშნავ ქალღმასკ იხსენიებს, რომელიც ნათელი სახელი დაუტოვებდათ მომაველ ისათვის (მაგალ, შოფინობაში და მეცნარე მარია ამ დედთალო, მხენ და ბრძენი ქალი ქეთევანი, მეუღლე გიორგი მე-13-ის, უკანასკნელი დედთალები დარჯან და მარია, დედთალო იმერეთის მარიაში და სხვანი) მაგრამ ცხლა ჩვენ ამ სითი უნდა დავკმაყოფილოთ.

ჩვენ აქ მატანეს ცნობათა მიხედვით, სულ მოკლეთ შეეჩუქდიოთ ქართველ ქალთა დეწლეს სამშობლოს საკეთილდღეო; ეს ქალები არიან იშვიათის სულიერი კულტურის მატარებელი, უხვად დაჯილდოებულნი ნიჭით, ქუეით, მხნეობით, ნებით, ატანის უნაჩიოთ და სხვა მაღალი თვისებით. მაგრამ ესეც ყველადფერი არაა. ეს მაღალი თვისებანი თავსდებან, როგორც მატანენ ხშირად მოწიბობს, მშენიერება და წარმეტც სხეულში.

ეს მშენიერება ქართველ ქალისა არა მარტო ქართველთა იპყრობდა და მის ხელოვნათა აჯადოებდა, არამედ ყველა უცხოელსაც, ვინაც კი ჩვენს ქვეყანას სწევდა. ამის მაგალითები ბევრია სხვა და სხვა მოგზაურთა ნაწერებში. ჩვენ შოლოდ ორიოდესუ თუ შეგვარდები; მაგრამ ასე გვიანდა წინ წაუფიქრებართი ჩვენი დიდი ისტორიკოსის — ვახუშტის სიტყვები ქართველ ქალზე. ბატონიშვილი სწერს: „საქართველოში ქალნი არიან მშენიერი, პაუროვანი, შეთვალ - წარბთმოსანი, თუჩი ყრმინი, კაცად და ქალთა შორის იშვიათა შვეგვრებანი, ან მოყვითანი, თვალჭრელი, წითური და თეთრი; ქალთა აქეთ თმა დაღამებული და დაწნული... არიან წერჭრელი და წაბლაკ ტანისა. ორივე სქესნი არიან მხნენი, მეშვენი, ქართა მიმოხილნი, ცხენზე და მხედრობაში კადნიქრნი და მეკერცხლანი მწიწახენი, ამყანი, ლადნი, სახელის მაძიებლნი, ასე რომ თაჟის გამორჩენი-

სათვის არც კაცი და არც ქალი არ ირიდებიან მეფისა და ქვეყნის სამსახურს...“; ამის შემდეგ ისტორიკოსი ავიწერს ქალთა მშენიერ ჩატელობას, სამკაულს და სხვას...

ესლა მოგოსიშინათ ზოგი უცხოელი მოგზაურის აზრიც. პეტრე დელავალზე ბევრს აღარ ვიტყვი; საკმარისია გვეცნოთ ვიოტეს „დონან“-ში დელავალს აზრებს, რომელიც საესეებით მოხიბლულია ქართველი ქალის შეუდარებელის მშენებით. ამავე მშენიერებას ავიწერს ფიანგი მოგზაური შარდენი, რომელიც სწერს: „მე არ შმინიშნავს აქ უმეფრი სახე არც ერთ სქესში; აქაურთა პირისახე აღბეჭდილია ანგლოზებრძოლის გამობატელებით. ბუნებას ქალთა უმეტესობისათვის მიუნიქება ის სიტუტრები, რის მსაესლა არსად სხვაგან არ მოიპოვება, მე არ შმეძღო მეცქირნა მათთვის ისე, რომ ჩემს გულში სიყვარული არ აღეწებულყო; გამოცდილი მხატვარიც კი ვერ გადმოგვეცმდა იმეზე უმშენიერეს სახეს და მონათლობას. — ეს ქალები არიან ტანოვანი, ვსალოვანი აგებულნი და წელში წყრლად გამოქილინი; არიან მახილის გონებისა, ზრიდენი, თუგაზინნი, ამასთან ამყნი და ზეიადი და სხვა...“ ავითანერად და შვიძლი უფერი მეტადც ადგიროვანებულისა ქართველი ქალის სიმშენიერითა მოგზაური აბატი დე ლაპორტი, რომელიც (1768 წ.) ტფილისში ყოფილა; იგი სწერს: „საქართველოში ყველაფერი არაა, მაგრამ ქართველ ქალზე ლამაზი აქ არა არსი არა, ამ ქვეყანას შვიძლება კაცმა მშენიერთა საცანე უწოდოს; ისე, როგორც სხვაგან იშვიათად ნახათ სულის სიღამაზით შემკობლ ქალს, ისევე ძვირად უხედელებით აქ ქალს, რომელიც იშვიათის სიღამაზით არ იყის დაჯილდოებულე... ძნელად თუ ვინმე წარმოიდენს ისე ნახად მოყვანილად და სწორად ავებულ ტანს, როგორცა ქართველი ქალის ტანი. ამასთან მათ აქეთ მედიდური და მიშვიდვენი სიარული და სხვა...“.

სხვა მოგზაურთა არც რუსები ჩამორჩებიან ამ მხრივ; ასე მწერალი მარკოვი, განსაკუთრებით ქართველი ქალის წარმეტც თვალის ამ რივად ავიწერს: „ვისაც ამ ქალის თალები არ უნახავს, მან არ იყის თუ რას ნიშნავს საერთოდ ადამიანის თვალე, რევერსად მიუწოდებელი და მატევედელი შვიძლება ვახდეს მისი მშენება. ყველაზე უფერი წარმეტცი თალები ევროპელ ულამაზეს ქალს; მოგვინებუთ შერთობლ, უფერულად და ცივად, შუდარებით - ქართველ



ქალის თვალმბრუნო...“ დასძენს რუსის მოგზაურს.

ქართველი ქალის ასეთი მშენებმა ხშირად მრისხანე მტრსაც კი აჯადოებდა და სამშობლოზე აწვდილ მახელოს ერს ააცდენინებდა. ხშირად ეს მომზობილეთ სიტუებე მტრის მაღალ პოლიტიკას საქართველოს სასარგებლოდ წაწმარათავდა. ასე ბიჭვინთ დღევანელ მოციუხრობებს: „სპარსეთის უხვის სასახლე საესე იყო ქართველი ქალებით და მათ აქ დიდი გავლენა ჰქონდათ თვისი სილამაზისა და მოწასლორი ძალის გამო... მათ ყველა სხვა ქალთა შორის უპირატესობა ეძლეოდათ“ და სხვა. ნაპოლონის წაწმომადგენელი — კობერი, რომელიც 1806 წ. სპარსეთში იყო, სწერს: „სპარსეთში იმყოფებთან წარჩინებული არსებანი, რომელიც თუმცა უქნო წარმოშობისანი არიან, მაგრამ მათეც პოლიტიკებენ გავლენას სახელმწიფო საქმეებზე. სახელდობს, ახალგაზრდა ქალები, რომელიც მოზაყეთი საქართველოდან, ჩეჩენეთიდან და სამცხელოდან. ბიზანტიის ეხსანდელი ისტორიკოსები აღნიშნავენ თვის შრომებში ქართველი ქალის განსაკუთრებულ მშენებერებას და გადმოგვცემენ, რომ ბიზანტიის კეთსუბი და წარჩინებულები ხშირად ირთავდენ ლამაზ ქართველ ქალებს, რომელიც მათზე გავლენას ახდლებდნენ... საამისო მაგალითები ხომ ჩვენს მატანენო და მწერლობაში მრავალად მოიპოება; ზოგ ამათვანე ჩვენ უყევი ხეით შეგერქლით.

ორის სიტყვით გვიანა მოციხენით ქართველი ქალთა დეაწლი უქანსკელ დროიდან. აქ ზვენ უნდა აღენიშნოთ, რომ საქართველოს სახელმწიფოს გაუქმების შემდეგაც ქართველი ქალები ღირსეულად ამოუდგენ გვერდით მებრძოლ მამაკეთ და შეუდგენ თაუდებლით შრომას საქართველოს დაცემულ ვინაობის აღსადგენად. ეს ქალები არა მარტო „ამმულსა უზრდოდენ ვეილს“ და მათ სამშობლოსათვის თავგანწირვის უმაღლეს იდეებს უნერგავდენ, არამედ თითონაც ხშირად მამაკეთა რაზმებში იდგენ და სამშობლოს დარსესას უწირებოდნენ. ასე იყო მრავალ აჯანყებათა გასწერეთ: 1802, 1804, 1812, 1819 წლებში და შემდეგაც ქაშიყის, სამეგრელოს, გურჯის და სხვ. ამათებებში. აღმოცავლეთის თე დასავლეთის ქართველი ქალი იორეყარად განიცლდა ეროვნულ იდენასა და ტყიყის და გააფთრებით იბრძოდა ქვეყნის ადამარჩენად და დიდი იმპერიის ბრეყალებიდან სახსრულად. ვანა სიმბოლოური არაა, რომ საქა-

რთველის იუქანსკელი დედოფალი ერის ღირსების დასაცავად რუსის ღენერალს გულს ხანჯლით განუტეობრეს, და შემდეგც, როცა საქართველო 1832 წლის დიდ აჯანყებისათვის ემზადება — მეთქველებს ისეც ქართველი ქალი მეთაურობს და ეს ქალთა იღვან ბატონიშვილის ასული, თამარ, რომელიც აჯანყებულთ საქართველოს დედოფალს უნდა გამოეცხადებინათ.

აი, ამ ბრძოლათა ტრადიციამ შეინახა ქართული თვახი და სული და ასე მოატანა ქართველმა ქალმა მეოცე საუკუნემდე, როცა ერმა ახალ გზათა ძიება დაიწყო. თ-ღ ბარისათისსის საბოგრაფითი ცნობებში ჩვენ წავაწყდით ერთ საინტერესო ადგილს. რომელიც ქართველი ქალის ბრძოლებზე ეხება რუსეთის წინააღმდეგ; ამ ბრძოლის ხასიათს მევეთოი გამოიქვინება ქართული რაობისა... კაცყისის ყოფილი მთავარმართველი ვორონკოვი ახლად დანერწულ მმართველს სწერს და სათანადო დარეუებას აძლევს, — „თუ თქვენ მართლაც ესურთ საქართველოს დაპყრობა და მათა მოქცევა ვინდათ, რუსთა ერთგულეზად. — უნდა უპირველესად ყოვლისა შეუცხადით როგორმე ქართველი ქალებს გული მოივით“...“. ჩვენ ენახეთ, რომ ვერც ბარისტენკიმ და ვერც სტენბმა ეს ვერ შესძლეს. ქართველი ქალი სამშობლოს აქი გადუღვა და მან თვისი ბრძოლთა ძველებურის სიმძაფრით ჩვენ თათამდე სახელოვანად მოიტანა.

უქანსკელი განმათავისუფლებულ ბრძოლების ხანში ქართველმა ქალმა საპატეო ადელო და იკევა და ერის პოლიტიკური და სოციალურ განახლებასათვის ბრძოლებში მამაკაც გვერდით ამოუღდა.

და 26 მაისს მკვედრითი აღმდგარ საქართველოსთვის ბრძოლათა ეკლან გზებზე ქართველი ქალსაც ისევე მზნედ უფლო და თავი დაუღლით, როგორც მას ქმარს, ძმებს, და შვილებს.

და საქართველოს რუსეთის მიერ ხელახლად დაპყრობისა 1921 წ. ვანა უდღესი წყლისი არ შეიტანეს ქართველმა ქალებმა იუქანტების წინააღმდეგ ბრძოლებში და ვანა სახელოვნად არი გასწერეს მათ თავი თვისი ამ აჯანყებებში, რაიც ქართველმა ერმა რუსეთის ძალადობის წინააღმდეგ მოაწყო...

ქეშმარიტად, ძელი, სახელოვანი და ნათელი კალი ქალოის დედას უძლიდა ამ ახალ თაობათა ქალებს, რომელიც ეწამენ და დაუღებენ სამშობლოს სამსახურში და რომელითა სახელი ღვთაონია. საქართველოს მატარანეს ღურკლებს



„მებრძოლ საქართველოს“ ჩამდგინას

ჩემი მეგობარი ვარ. ურატაქე მისაყვედურებს იმას, რომ მე ქაჩა. უროგენულ მუშაობაში მონაწილეობას არ ვიღებ, დამამუქრა კიდევ საჯარო მხალღებით თუ პოზიციას არ გამოვიცვლი. ამისთანა საყვედურთა სხვებისადანაც გამოვინთა და ამტომ გადაწყვეტილ ამ განმარტების გამომეღავენბა. პირადი საკითხის იჭით, მე ამ წყობილით ყველა იმით მიემართავ, ურასც ჩემი ყოყმანი გამოუტყვი.

წლების განმავლობაში (24-დან) მე თავი დავაგრე, რომ ჩემი უმიგრაცის პოლიტიკური მუშაობა უსარგებლო იყო და მანეტ. ასეთ უსარყოფითი პოზიციისთვის საბუთების ძებნაში ვივადე, როგორც მგაგალითავ: ერას განთავისუფლება მხოლოდ ზეგნიდან შეიძლება. გარედან აგრტაბა და პროპაგანდა მავემდ მიმანდა. ჩვენ არ გვაქვს ფინელი ურის ფხა და გადაწყვეტილება (ეს არ უნდა გვეწყინოს) და არც მისი გეოგრაფიული მდგომარეობა. პოლონიით იცდათ მილიონიანი ერია და მისი ტერიტორია საფარანგებოზე დიდა. იქ ყოველად გვლენიანი კათოლიკური ცვლქსია მუდამ შეურთებელი მტერი იყო მართიანადღებელი რუსეთის. დარედან მას, სხვებიც არ იყოს, თონასი მლონი კათოლიკები მსოფლიოში მხასას უტუქუნ, და ვატკანის პოლიტიკური ინტრიგების ტენიკას და მის „კონტრ-რახვედაცა“ მრავალ საუკუნოების გამოცდილება აქვს უკან. მიუხედავად ამისა პოლონეთის მდგომარეობა დღეს ჩვენსაზე უკეთესი არ სჩანს და მისი მომავალ ძალიან გფურკვემლია. ეს ყვეყანა მიტომ ვამქენე, რომ მისი მღებარეობა იქ დიდს ხაზელწიფითთა შორის ჩვენსას ჰგავს. განსვენებული პრეზიდენტი ნოე ურადანი თავის უკანასკნელ წონში (ჩემი წარსული) მოგვითხრობს, რომ როცა საბჭოს ჯარები საქართველოს მოაწუნენ და თბილისს დაემუქრენ, ოსმალეთის ელჩი იქ პირდაპირ მავ

ეთელით ელაპარაკებოდა მოსკოვს და ანკარას. თითქოს ჩვენ და რუსეთსა შუა კომპრომისის გამოსანახავად თურმე ის მაშინ ართენის და არტანის ევაჭრებოდა რუსეთის ოსმალეების ნეიტრალიტეტის ფასად, და როცა ამაში დამკაყოფილება მიიღეს, მაშინ ბათონიც მოინდომეს. ბ. კ. კანდელაკის ცნობით საქართველოში დღეს სამი და ნახევარი მილიონი მცხოვრები ყოფილა; დაახლოებით, და ამ რჩატეში ოჩი მებუთული არა ქართველები. ეს ძალიან დიდი პროცენტი უტოლებობს ჩვენში არ ხაზს აიღებს თუ გავვიჭირად, ან და როგორ, შევძლებთ მის კონტროლს? სხვა საკითხიც უნდა გავითვალისწინოთ. გერმანიას აცერ ჩვენ თვალწინ მსოფლიოს ერთი ნახევარი შეგზბოდა და ისტორიაში უმაგალითო ომის შეზღვე, ეს დიდი ცრა გასრისეს, ფეხქევს გათელეს და მისი ტერიტორია გამარჯვებულეზმა დაიყვეს; ინგლის-საფრანგეთი, და რუსეთი კიდევ კრთიან ასეთი მდგომარეობაში მყოფ გერმანიას წინაშე. 12 მილიონი მცხოვრებში ვაჭარებს სატყეოებით მამა-პაპური მიწა-წყლიდან და მათ ადგილზე პოლონელები და ჩეხები ჩაასახლეს, კანტის ქალაქი, კენისებრგი, კალინინგრადთა გადნათლეს

მავრამ როცა ამისთანა დახტურული პერსპექტივის ბოლომდე მივალთ, ცხოვრება მაინც გრძელდება და იძულებული ვართ გამოსავალი მოგნახოთ და ხელ-დაკრებით ჯდომბა იმ იმედლონი, რომ ვინმე, როგორმე დაგვეხმარება ჩემი წარსული დამსახურებისათვის ან და რაიმე მაღალი მოჩქლის სახელით, გულგამტეხი ოლიუზია იქნება. თუ აქამდე ვაჭედან დამხარების ზოგი იმედბა არ გავციმართოდა, ამიდან არ უნდა დევაჭეათ, რომ ყველა ჩვენ გვემტრება, რატომ არ უმიძლება დავუგათ, რომ ჩვენ შევცდით პარტნიორების ძებნაში? ან და კიდევ ვაღვიართო არასასიმოენო ვაჭტო, რომ დიდი პოლიტიკის ანარაშებში ჩემი პატარა ეროგნული კაბიტალი არ ითულებოდა. გერმანიის მგაგალითი ჩვენ არი გამოგვაფება, მავრამ მაინც საინტერესოა: ამ ჩამოღენიშე წლის უკან ეს ქვეყანა მხოლოდ გავლენისათვის ბრძოლის ნიადგი იყო და ეტროპისა და მსოფლიოს მომავალს უმისოდ ანგარიშობდენ. მდგომარეობა ცხლა სულ სხვაა. ამერიკელებს ცოტა დახმარებით, მგვრამ ედროო საკუთარი ენტრეითი, ის გადაწყვეტი ვაჭტობი შეიქმნა ევროპის ცხოვრებაში და მალე აღბათ მსოფლიოშიც და აყთო დიდი

ეს ახალი სახლებიც დაამშენებენ და მომავალი თაობა ბათუდაც იტყვის მგონის უკდავ სიტყვებს:

„პოი, დედანო, მარად ნეტარნო კურთხევა თქვენდა ტბილ სასოგარნო...“

თამარ პაპავა.

ბუენოს აირესი.  
მარტი, 1951 წ.



შეცვლა პოლიტიკური პერსპექტივის უომარსდ მოხდა. თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური ერთარება არაჩვეულებრივ სისწრაფით იცვლება, მაგრამ ყველა ტენდენცია პატარა ერებს თავის უფლებებისკენ მიუთითებს, იმდენად რომ, თუ — 45-ში მაგალითად საქართველოს თავი უფლებდა თავაშვებულ ფანტაზიად წიგნივბოდა ზოგიერთს, დღეს ამის შესაძლებლობა უფრო აშკარად სჩანს, მაგრამ სანამ ამის აუცილებლობაში დაუჯერებდეთ ბტყისა და მეგობრებს, ბეგრე ენერგიის დახარჯვა დაგვეპირება, და ალბათ ზოგიერთი რისიკიც. ამ ქვეყნად იმდენად გცემენ პატეს და ანგაიზს გავიწყდენ, რამდენად შენს უფლებსა და ღირსებისა დაცვაში გარდაუწყვეტლებას გამოიჩენ. ცხადია, რომ ჩვენ იარაღით ბრძოლა რუსეთთან არ შეგვიძლია და თუ ვინმემ ანაჲ იფიქრს, უნდა გავაჩემოთ. ამის გარეშე კი ჩვენი მოვალეობაა ერის თავისუფლების საჭიროება განაცხადოთ და ამ საკითხის არგვლეო ქრისთლეოგენა შექმნათ.

სულ სხვა პირობებში, როცა ილა ჰაქვაძე 19-ტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ საქმიანობას სათავეში ჩაუდგა, ის არ გავცა რომანტიულ ნაციონალიზმს, რაც ბრძოლაში იყო მაშინ ჩვენში, როცა მან დიანახა, რომ ქართველების ქონება და მამული უტხოლოთა ხელში მიდიოდა, ამის წინააღმდეგ ზომები მიიღო და სათანადო ორგანიზაციები შექმნა. ილიას სიკვდილის შემდეგ ათი წელიწადიც არ გასულა, რომ თავდა-აზნაურობას შესთხვევა მიუცოთ ეს დიდის წინადადებულობით დაგროვილი ქონება დემოკრატიული ეროვ. საბჭოთათვის ჰქონდა, რითაც მისი პირველი ნაბიჯები ძნელ ებრძნებში, გაუადვილა. ზემოთ ნახსენებ ნოე ყორღანის წიგნში ვკითხულობთ: 1897-ს ავტორთან მისულა ყოვლად პატუცემული ალ. ყოვშიძე ილა ჰაქვაძის თხოვნით, რომ მას წველით. როცა მეორე დღეს ნოე ნახსენებ ილიას, ის წინადადებსა მიიღებს გახეთი „ივერიის“ ხელმოწესანულობა იყისროს. ილიამ უთხრა: თქვენი იქნება სრული პასუხისმგებლობა, მე არავფრში გავრევეო, მხო-

ლოდ როცა რომელიმე ასრის თანახმა არი ვქნება, პასუხის უფლება უნდა მქონდესო. ილიას განზრახვა იყო ფართო ეროვნული გახეთის შექმნა და ამ მიზნით თავისი გახეთი შესათავაზა ახალგაზდა ნიქუცა ყურნლისტს მოეხებდავად იმისა, რომ ეს ყურნალისტს მის წოდების სასტიკი მოწინააღმდეგე იყო, სოციალისტის და ისიც ფურული. ილია ჰაქვაძე ჩვენი მეს-19-ტე საუკუნის დავით ყურატპალატია.

